აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Automous Republic of Ajara

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თვითშეფასების ანგარიში ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის შესრულებაზე

ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

UNDP

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Automous Republic of Ajara

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თვითშეფასების ანგარიში ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის შესრულებაზე

# სარჩევი


**წინასიტყვაობა** 4

**მიმოხილვა** 8

**შესავალი** 12

**სამოქმედო გეგმის შემუშავების, შესრულებისა და ანგარიშგების პროცესი** 14

საკონსულტაციო ჯგუფთან თანამშრომლობა და გეგმის დამტკიცება 17

ღია მმართველობის გეგმის შესრულება 19

თვითშეფასების ანგარიშის შემუშავება 19

**სამოქმედო გეგმის ვალდებულებათა შესრულება** 20

ვალდებულება 1: საჯარო კონსულტაციები საკანონმდებლო პროცესში 22

ვალდებულება 2: აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის გაძლიერება სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად 24

ვალდებულება 3: აჭარის უმაღლესი საბჭოს მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნა 26

ვალდებულება 4: ელექტრონული და წერილობითი პეტიციის სისტემის დანერგვა 29

ვალდებულება 5: მედიის აკრედიტაციის მექანიზმის შემუშავება 32

ვალდებულება 6: სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის ადაპტირება 34

ვალდებულება 7:
სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის
უმაღლესი საბჭოს შენობის ადაპტირება 36

ვალდებულება 8:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
გაზრდა სმენის არმქონეებისთვის - ჟესტურ ენაზე
ადაპტირება 38

ვალდებულება 9:
აჭარის უმაღლესი საბჭოს შენობაში შესვლის, სხდომაზე
დასწრებისა და საშვის გაცემის ელექტრონული სისტემა 40

ვალდებულება 10:
აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მისი ორგანოების სხდომების
ინტერნეტტრანსლაცია და მოქალაქეთა ჩართულობა 44

ვალდებულება 11:
უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად
დასამუშავებელ ფორმატში განთავსება, პროაქტიულად
გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის გაზრდა 47

ვალდებულება 12:
აჭარის უმაღლესი საბჭოს, მისი ორგანოებისა და
დეპუტატების საჯარო ანგარიშები მოქალაქეებს 50

ვალდებულება 13:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტთა სამოქმედო გეგმების
შემუშავება და გამოქვეყნება 52

ვალდებულება 14: ღია კარის დღე 54

ვალდებულება 15: CSO-ის დღე 56

**საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობა
და გამოცდილების გაზიარება** 58

**დასკვნა, სხვა ინიციატივები და შემდეგი ნაბიჯები** 60



# წინასიტყვაობა



ორი წლის წინათ აჭარის უმაღლესმა საბჭომ მნიშვნელოვანი პროცესი წამოიწყო - პირველად სცადა სისტემურ და ფუნდამენტურ ცვლილებათა დანერგვა საბჭოს მეტი ღიაობისთვის. ამ ნაბიჯს უწყება რეგიონის ყველაზე გამჭვირვალე ინსტიტუციის სტატუსით დახვდა, თუმცა გვესმოდა, რომ ცვლილებებს სჭირდებოდა მეტი გახსნილობა და მზაობა, ასევე, მოქალაქეთა რეალური ჩართულობა საბჭოს საქმიანობაში.

საკმაოდ ამბიციური იყო ღია მმართველობის პირველი სამოქმედო გეგმა, რომლის შესრულება გარკვეულწილად არარეალურიც კი ჩანდა, თუმცა უმაღლესი საბჭოს გუნდმა, არაერთი პარტნიორის დახმარებით, ძალზე მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია: 15 ვალდებულებიდან სრულად ან არსებითად შესრულდა 10 და შეზღუდულად შესრულდა 2, ზოგი მიმართულებით კი იმაზე წინაც წავიწიეთ, ვიდრე 2020 წელს ვგეგმავდით. ყოველივე ეს უმაღლესმა საბჭომ მძიმე კრიზისის ფონზე შეძლო - პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები და პოლიტიკური რყევები, თავისთავად, ჩვენს საქმიანობაზეც მოქმედებდა.

ღია მმართველობის პროცესი უაღრესად მაღალი ჩართულობით დავიწყეთ - გეგმის შემუშავებაში 10-ზე მეტი ადგილობრივი ორგანიზაცია მონაწილეობდა. განსაკუთრებული სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ თითოეულ ორგანიზაციასთან გაგრძელდა მჭიდრო თანამშრომლობა. შესაბამისად, როგორც მათი, ისე ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, მნიშვნელოვან მიზნებს მივაღწიეთ, მთელ ამ პროცესს კი დადებითად აფასებდნენ ჩვენი პარტნიორებიც და კრიტიკოსებიც. ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის ეს ციკლი დაიხურა წინამდებარე ანგარიშით, რომელიც შემუშავდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, საჯარო კონსულტაციებითა და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობით. მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI), რომელიც პირველივე დღიდან კურირებდა ღია მმართველობის პრინციპების დანერგვას უმაღლეს საბჭოში და დღესაც აგრძელებს ჩვენს ხელშეწყობასა თუ საერთაშორისო დონეზე წარმოჩენას.

პარტნიორთა მხარდაჭერითა და მონაწილეობით, უმაღლესმა საბჭომ შემოიღო პეტიციის ინსტიტუტი; შეიმუშავა კანონპროექტებზე კომენტარების გაკეთების მექანიზმი; თავისი ვებგვერდი მოარგო უმაღლეს სტანდარტებს; ჩამოაყალიბა მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრი; მოამზადა შენობის ადაპტირების კონცეფცია, რომელიც შეესაბამება უახლეს ეროვნულ სტანდარტებს; სტრატეგიული დაგეგმარება აქცია საქმიანობის განუყოფელ ნაწილად; და შექმნა მოქალაქეთა ჩართულობის ინკლუზიური პორტალი (chaerte.sca.ge), არაერთი ციფრული სერვისით. ყოველივე ეს გულისხმობდა ძირეულ რეფორმებს საბჭოს შიგნით, რაც 2022 წელს დაგვირგვინდა განახლებული სტრუქტურით, ასევე, მდგრადი და შეუქცევადი ცვლილებებით.

ღია მმართველობა, საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის მეტი გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება ის დემოკრატიული ღირებულებებია, რომლებიც ნამდვილ ევროპულ საზოგადოებებს ახასიათებს. ამიტომ მოხარულნი ვართ, რომ საქართველოს ევროპულ გზაზე მცირედი წვლილი ჩვენც შევიტანეთ. გვჯერა ისიც, რომ 2022-2024 წლებისთვის კიდევ უფრო ამბიციურ, მკაფიო და ძლიერ გეგმას შევიმუშავებთ და აქტიურად ვითანამშრომლებთ საზოგადოებასთან - როგორც ჩვენი რეგიონის, ისე მთლიანად ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲑᲐᲘᲫᲔ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე



ღია მმართველობას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს დემოკრატიისთვის; მისი მეშვეობით, სახელმწიფო ხალხის საჭიროებებსა და მისწრაფებებზე რეაგირებს საზოგადოების შეხედულებების, მოსაზრებებისა და წუხილების გათვალისწინებით. ამასთანავე, ღია მმართველობა უზრუნველყოფს მაქსიმალურ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ვინაიდან საქართველო წინ მიიწევს საპარლამენტო დემოკრატიის გზაზე, ღიაობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება კანონშემოქმედებით პროცესებში დღეს გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე.

გაეროს განვითარების პროგრამა მიესალმება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ძალისხმევას, რომ თავის საქმიანობაში დანერგოს ღია მმართველობის პრინციპები და შეაფასოს, რამდენად ღია და ხელმისაწვდომია მისი მუშაობა მოქალაქეებისთვის. ვამაყობთ, რომ მხარი დავუჭირეთ უმაღლესი საბჭოს „ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის“ განხორციელებას და გვჯერა, რომ ამ თვითშეფასების ანგარიშის გამოქვეყნება ხელს შეუწყობს შემდგომ ნაბიჯებს სრული საკანონმდებლო ღიაობის მისაღწევად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, რათა შეექმნა ფართო თანამშრომლობითი სივრცე სამოქალაქო საზოგადოებასთან და გაეზარდა თავისი ინსტიტუციური ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე. მან შემოიტანა მთელი რიგი ინსტრუმენტებისა, მათ შორის, შესაძლებლობა მოქალაქეთა პეტიციების წარსადგენად, ასევე, ონლაინ პლატფორმისა და ჩართულობის ცენტრის გამოსაყენებლად. ამ სამუშაოს გავლენა განსაკუთრებულად შეინიშნებოდა პანდემიის დროს, როდესაც ღია, გამჭვირვალე და ეფექტიანი კომუნიკაცია ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის გადამწყვეტი იყო კრიზისზე წარმატებული რეაგირებისთვის.

ამგვარი სასიკეთო დასაწყისით, საბჭო დგას თავისი ამბიციური მიზნების მიღწევის გზაზე ღიაობის სფეროში. გაეროს განვითარების პროგრამა კვლავაც მხარს დაუჭერს აჭარის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს სხვა ინსტიტუციებს ღია, ინკლუზიური და ანგარიშვალდებული მმართველობის გზაზე.


ნიკ ბერესფორდი

გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი
წარმომადგენელი საქართველოში



მრავალი წელია, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) მხარს უჭერს ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) პრინციპების დანერგვას აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო და ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე საქართველოში. 2020 წლიდან, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ევროკავშირის (EU) ფინანსური მხარდაჭერით, IDFI თანამშრომლობს აჭარის უმაღლეს საბჭოსთანაც, პროექტის „საპარლამენტო დემოკრატიის კონსოლიდაცია საქართველოში“ ფარგლებში.

საბჭო აქტიურად მუშაობდა ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპების დასანერგად ინსტიტუციურ დონეზე. აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში განხორციელებული ცვლილების შედეგად შეიქმნა მუდმივმოქმედი ორგანოც - ღია მმართველობის საბჭო - ასევე, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებული საკონსულტაციო ჯგუფი. ღია მმართველობის საბჭომ და საკონსულტაციო ჯგუფმა ერთობლივად შეიმუშავა ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა, 15 ვალდებულებით, რომელთა მიზანი იყო: უმაღლეს საბჭოში სამოქალაქო ჩართულობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა; ანგარიშვალდებულების გაძლიერება; და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვა.

უმაღლესი საბჭოს წინაშე არსებული მრავალი გამოწვევის მიუხედავად, 2 წლის განმავლობაში  შესრულდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი.

EU-ისა და UNDP-ის მხარდაჭერით, IDFI აქტიურად იყო ჩართული სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში.  სხვა აქტივობებთან ერთად, აჭარის უმაღლეს საბჭოსთან აქტიური თანამშრომლობით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მხარდაჭერით და ორგანიზებით: მომზადდა უმაღლესი საბჭოს ვებგვერდისა და შენობის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომობის კონცეფციები; განხორციელდა უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის ადაპტირება და შეიქმნა უმაღლესი საბჭოს მოქალაქეთა ჩართულობის ვებგვერდი, სადაც მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა ელექტრონულად წარადგინონ პეტიცია და კომენტარები კანონპროექტებზე.

აღსანიშნავია, რომ უმაღლესი საბჭოს მნიშვნელოვანი წარმატებებისა და მიღწევების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე  აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს OGP-ს სამდივნოსთან. მათი მიზანია, საბჭო ოფიციალურად ჩაერთოს ღია მმართველობის პარტნიორობის ახალ, საპილოტე პროგრამაში, რომელიც გათვალისწინებულია ადგილობრივი საკანონმდებლო ხელისუფლებისთვის.

IDFI მიესალმება უმაღლესი საბჭოს საქმიანობას ინსტიტუციური მდგრადობის გასაუმჯობესებლად და ღია მმართველობის პრინციპების დასანერგად. უწყებამ უკვე დაიწყო მუშაობა 2022-2024 წლების ღია მმართველობის სამოქმედო გეგმაზე, რომელიც უნდა მომზადდეს სამოქალაქო სექტორთან აქტიური თანამშრომლობით. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ საბჭო მზად არის, გახდეს უფრო ღია, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული უწყება, რომელიც უფრო მაღალი ხარისხით ჩართავს საზოგადოებას თავის საქმიანობაში.

*გიორგი კლდიაშვილი*

*ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI)*
*აღმასრულებელი დირექტორი*

# მიმოხილვა

2020 წლიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (შემდგომში - უმაღლესი საბჭო) ჩაერთო ღია მმართველობის ინიციატივაში და წამოიწყო ინსტიტუციური ღიაობის რეფორმა. პროცესის ფარგლებში ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი ორგანო - *ღია მმართველობის საბჭო*, 2020 წლის 14 აგვისტოს კი დამტკიცდა *ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა.*

დოკუმენტის შემუშავებას წინ უძღოდა აქტიური კომუნიკაცია სამოქალაქო საზოგადოებასთან, ასევე, უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილ პოლიტიკურ ჯგუფებთან. აღსანიშნავია, რომ გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებათა უდიდესი ნაწილი სწორედ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა ინიციატივებს პასუხობდა. მართალია, დოკუმენტი მოიცავდა პერიოდს 2021 წლის ბოლომდე, თუმცა, სხვადასხვა გარემოების გამო (მაგ: პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები ფიზიკურ ღონისძიებებზე, მათ შორის, პარტნიორებთან სამუშაო შეხვედრებზე; 2020 წლის პოსტსაარჩევნო ვითარება რეგიონსა და ქვეყანაში; 2021 წლის თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდი), ცალკეული აქტივობები დროულად ვერ განხორციელდა. შესაბამისად, შესრულების პროცესი 2022 წლის აპრილის ბოლომდე გაგრძელდა.

წინამდებარე ანგარიში მიმოიხილავს როგორც გეგმის შემუშავების, ისე მისი შესრულებისა და ანგარიშგების პროცესებს. იგი პასუხობს თვითშეფასების ანგარიშის წარმოების კარგ პრაქტიკას, რომელსაც ამკვიდრებს ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) და და რომელიც შემუშავებულია ფართო შიდა თუ გარე ჩართულობით. დოკუმენტის მომზადებაში მონაწილეობდნენ როგორც აჭარის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომლები და ღია მმართველობის საბჭოს წევრები, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციები.

## ცხრილში მოკლედ არის მიმოხილული აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა და მისი შესრულება

| | | |
|---|---|---|
| **ზოგადი ინფორმაცია** | • აჭარის უმაღლესმა საბჭომ ღია მმართველობის სამოქმედო გეგმების შემუშავება დაიწყო 2020 წლიდან;<br>• ამ დრომდე მიღებულია ერთი სამოქმედო გეგმა;<br>• მიმდინარე გეგმაში გაწერილია 15 ვალდებულება. | |
| **ვალდებულებათა აქცენტი** | ვალდებულებათა რაოდენობა, რომლებიც პასუხობს OGP-ის ძირითად პრინციპებს: | |
| | **გამჭვირვალობა** | 12 |
| | **ანგარიშვალდებულება** | 12 |
| | **მოქალაქეთა მონაწილეობა** | 12 |
| | **ტექნოლოგიები და ინოვაციები ღიაობისა და ანგარიშვალდებულებისთვის** | 7 |
| **ვალდებულებათა შესრულების ზოგადი დონე** | ვალდებულებათა შესრულების დონე:[1] | |
| | **სრულად შესრულდა** | 7 (ვალდებულებების 47%) |
| | **არსებითად შესრულდა** | 3 (ვალდებულებების 20%) |
| | **შეზღუდულად შესრულდა** | 2 (ვალდებულებების 13%) |
| | **არ დაწყებულა** | 3 (ვალდებულებების 20 %) |

[1] ვალდებულება:
**სრულად შესრულებულია,** თუ მისი ყველა ეტაპი/ინდიკატორი შესრულდა (100%).
**არსებითად შესრულებულია,** თუ მისი ეტაპების/ინდიკატორების უმეტესობა შესრულდა (51%-99%).
**შეზღუდულად შესრულებულია,** თუ მისი ეტაპების/ინდიკატორების მხოლოდ ნახევარი ან უფრო ნაკლები შესრულდა (1%-50%).
**არ დაწყებულა,** თუ მისი არცერთი ეტაპი/ინდიკატორი არ შესრულებულა (0%).


20%
არ დაწყებულა
13%
შეზღუდულად
შესრულდა
20%
არსებითად
შესრულდა
47%
სრულად
შესრულდა

| | |
|---|---|
| ვალდებულება 1:<br>საჯარო კონსულტაციები საკანონმდებლო პროცესში | შეზღუდულად შესრულდა |
| ვალდებულება 2:<br>აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის გაძლიერება სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად | არ დაწყებულა |
| ვალდებულება 3:<br>აჭარის უმაღლესი საბჭოს მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნა | სრულად შესრულდა |
| ვალდებულება 4:<br>ელექტრონული და წერილობითი პეტიციის სისტემის დანერგვა | სრულად შესრულდა |
| ვალდებულება 5:<br>მედიის აკრედიტაციის მექანიზმის შემუშავება | სრულად შესრულდა |
| ვალდებულება 6:<br>სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის ადაპტირება | სრულად შესრულდა |
| ვალდებულება 7:<br>სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის უმაღლესი საბჭოს შენობის ადაპტირება | სრულად შესრულდა |
| ვალდებულება 8:<br>აჭარის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა სმენის არმქონეებისთვის - ჟესტურ ენაზე ადაპტირება | არსებითად შესრულდა |
| ვალდებულება 9:<br>აჭარის უმაღლესი საბჭოს შენობაში შესვლის, სხდომაზე დასწრებისა და საშვის გაცემის ელექტრონული სისტემის შექმნა | სრულად შესრულდა |
| ვალდებულება 10:<br>აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მისი ორგანოების სხდომების ინტერნეტტრანსლაცია და მოქალაქეთა ჩართულობა | არსებითად შესრულდა |
| ვალდებულება 11:<br>უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის გაზრდა | არსებითად შესრულდა |
| ვალდებულება 12:<br>აჭარის უმაღლესი საბჭოს, მისი ორგანოებისა და დეპუტატების საჯარო ანგარიშები მოქალაქეებს | შეზღუდულად შესრულდა |
| ვალდებულება 13:<br>უმაღლესი საბჭოს კომიტეტთა სამოქმედო გეგმების შემუშავება და გამოქვეყნება | სრულად შესრულდა |
| ვალდებულება 14:<br>ღია კარის დღე | არ დაწყებულა |
| ვალდებულება 15:<br>CSO-ის დღე | არ დაწყებულა |

# შესავალი

ღია მმართველობა არსებითია დემოკრატიული საზოგადოებისთვის. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და სამოქალაქო ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანამედროვე, პროგრესული და ძლიერი სახელმწიფოს მახასიათებელია. აჭარის უმაღლესი საბჭო ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი გამჭვირვალობითა და ღიაობით, თუმცა, ღია მმართველობის პრინციპების დანერგვით მან დაიწყო მნიშვნელოვანი ინსტიტუციური რეფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს მრავალმხრივ პარტნიორობას და უფრო ეფექტიანი საჯარო სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

„ღია მმართველობის პარტნიორობის" ინიციატივაში ჩართვის გადაწყვეტილების მიღებიდან მალევე, საკანონმდებლო ორგანოში შეიქმნა მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო - ღია მმართველობის საბჭო, რომლის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი რეგულირდება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით, ასევე, ღია მმართველობის საბჭოს დებულებით. „მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს" სტატუსი უზრუნველყოფს საბჭოს მდგრადობას და მაღალი რანგის ერთგულებას ამ იდეისადმი. საბჭოს შემადგენლობას, ფრაქციებთან კონსულტაციების შედეგად, განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. 2020 წელს შექმნილი სათათბირო ორგანოს პირველ შემადგენლობაში წარმოდგენილი იყო 2016-2020 წლების მოწვევის უმაღლესი საბჭოს თითქმის ყველა პოლიტიკური ჯგუფი (არსებული ორი ფრაქციის წევრები და სამი დამოუკიდებელი სუბიექტიდან ორი). 2020 წლის არჩევნების შემდეგ, უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა განახლდა, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ღია მმართველობის საბჭოს წევრების შეცვლა. ამჟამად სათათბირო ორგანოში წარმოდგენილია ყველა პოლიტიკური ჯგუფი (როგორც ორივე მოქმედი ფრაქციის წევრები, ასევე დამოუკიდებელი დეპუტატი).

2022 წლიდან აჭარის უმაღლესმა საბჭომ გამოყო ღია მმართველობის საკითხებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული - *საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი,* რომელიც, სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობასთან ერთად, უშუალოდ ჩაერთვება ღია მმართველობის პროცესების კოორდინაციაში, ასევე, გეგმებისა თუ ანგარიშების შემუშავებაში. უმაღლესი საბჭო აქტიურ ნაბიჯებს დგამს ღია მმართველობის პრინციპების მთელ ინსტიტუტში დასანერგად. შესაბამისად, გეგმებისა თუ ანგარიშების შემუშავებაში ჩართულია ყველა ერთეული, რომლებსაც არსებითი როლი აქვთ ამ პროცესში.

ღია მმართველობის პირველი გეგმის მთავარი მიზანი იყო, საწყის ეტაპზე დაენერგა სტანდარტები ისეთი კუთხით, როგორიცაა წარმომადგენლობითი ორგანოს მეტი გახსნილობა და მოქალაქეებისთვის პრობლემური თუ მწვავე საკითხების მარტივად და ეფექტიანად მიტანა უმაღლეს საბჭომდე. გეგმის თითოეული ვალდებულება მიესადაგება გაეროს მდგრადი განვითარების შემდეგ მიზნებს: *შემცირებული უთანასწორობა* (მიზანი 10), *მშვიდობა, სამართალი და ძლიერი ინსტიტუტები (მიზანი 16) და თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის* (მიზანი 17).

წინამდებარე ანგარიშში აღწერილია როგორც სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი, ასევე მისი განხორციელება და შედეგები. თავის მხრივ, ანგარიშის მომზადების პროცესიც ღია და გამჭვირვალე იყო და მასში მონაწილეობდა ღია მმართველობის საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია ათზე მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციით.

# სამოქმედო გეგმის შემუშავების, შესრულებისა და ანგარიშგების პროცესი

## შესაბამისობა OGP-ის ძირითად სტანდარტებთან

| ეტაპი | სტანდარტი / კითხვა | დიახ | არა | სტანდარტი / კითხვა | დიახ | არა |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სამოქმედო გეგმის შემუშავებისას** | **1. პროცესსა და ვადებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა** | | | **2. წინასწარი შეტყობინება** | | |
| | გამოქვეყნდა ინფორმაცია პროცესსა და ვადებზე საჯარო კონსულტაციების ჩატარებამდე? | ✓ | | გაკეთდა წინასწარი შეტყობინება საჯარო კონსულტაციის შესახებ? | ✓ | |
| | **3. ცნობიერების ამაღლება** | | | **4. კომუნიკაციის მრავალი არხის გამოყენება** | | |
| | ჩაატარა საბჭომ ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები? | ✓ | | 4ა. ონლაინ კონსულტაციები: | ✓ | |
| | | | | 4ბ. ფიზიკური კონსულტაციები: | ✓ | |
| | **5. დოკუმენტაცია და უკუკავშირი** | | | | | |
| | წარმოადგინა საბჭომ საჯარო კომენტარების შემაჯამებელი ანალიზი? | | | | | ✓ |
| **სამოქმედო გეგმის განხორციელებისას** | **6. რეგულარული მრავალმხრივი საბჭო** | | | | | |
| | 6ა. არსებობს ასეთი საბჭო? | ✓ | | 6ბ. რეგულარულად იკრიბება საბჭო? | ✓ | |
| **სამოქმედო გეგმაზე ანგარიშგებისას** | **7. თვითშეფასების შუალედური ანგარიში** | | | | | |
| | 7ა. გამოქვეყნდა თვითშეფასების შუალედური ანგარიში? | | ✓ | 7ბ. გამოქვეყნდა ანგარიში ქართულად და ინგლისურად? | | ✓ |
| | 7გ. გამოყოფილია 2 კვირა ანგარიშზე საჯარო კომენტარებისთვის? | | ✓ | 7დ. პასუხობს ანგარიში IRM-ის ძირითად რეკომენდაციებს? (არსებობის შემთხვევაში) | | |
| | **8. თვითშეფასების საბოლოო ანგარიში** | | | | | |
| | 8ა. გამოქვეყნდა თვითშეფასების საბოლოო ანგარიში? | | ✓ | 8ბ. გამოქვეყნდა ანგარიში ქართულად და ინგლისურად? | | ✓ |
| | 8გ. გამოყოფილია 2 კვირა ანგარიშზე საჯარო კომენტარებისთვის? | | ✓ | 8დ. პასუხობს ანგარიში IRM-ის ძირითად რეკომენდაციებს? (არსებობის შემთხვევაში) | | |

2020 წლის 30 აპრილს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ შექმნა *ღია მმართველობის საბჭო* - ინსტიტუციური მექანიზმი რეგიონული საკანონმდებლო ორგანოს ღიაობისა და გამჭვირვალობის ხელშესაწყობად - და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები მოიწვია ამ ახალი სათათბირო ორგანოს საკონსულტაციო ჯგუფში თანამშრომლობისათვის.[2] საბჭოსა და საკონსულტაციო ჯგუფს შორის კოორდინაციით, შესაძლებელი გახდა, საკმაოდ მჭიდრო ვადებში მიღებულიყო ღიაობის

2 ცვლილება რეგლამენტში მუდმივმოქმედი სათათბირო საბჭოების შექმნის თაობაზე: https://bit.ly/3s6uTa4; ღია მმართველობის საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფის წევრთა სია: https://bit.ly/3MS7xgh; ღია მმართველობის საბჭოს დებულება: https://bit.ly/3kzEjXt

სამოქმედო გეგმა, სადაც გაიწერა 15 ამბიციური ვალდებულება (სამოქალაქო ჩართულობის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით).

აღსანიშნავია, რომ აჭარის ორმა მსხვილმა სამოქალაქო ორგანიზაციამ *(საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი)*, რომლებმაც მედიასთან საკმაოდ კრიტიკულად შეაფასეს აჭარის უმაღლესი საბჭოს ოთხწლიანი მუშაობის ვადა, ამ შეფასებაში განსაკუთრებით დადებითად მოიხსენიეს ღია მმართველობის პრინციპების დანერგვა უწყებაში და ღიაობის პირველი სამოქმედო გეგმის მიღება.[3]

## საკანონმდებლო ღიაობის მექანიზმის ინსტიტუციონალიზაცია

### შეხვედრა

- აჭარის უმაღლესი საბჭოს, EU-სა და UNDP-ის წევრების შეხვედრა
- „საპარლამენტო დემოკრატიის კონსოლიდაცია“, ღიაობის პრინციპების განხორციელება და თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორთან

06.03.2020

### ცვლილება

- ცვლილების შეტანა აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში
- ღია მმართველობის საბჭოს ჩამოყალიბება
- მჭიდრო თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასთან

30.04.2020

### შეხვედრა

- ღია მმართველობის საბჭოს, UNDP-ისა და IDFI-ის წევრების შეხვედრა
- OGP-ის შესახებ ინფორმაციისა და საქართველოს პარლამენტის გამოცდილების გაზიარება

22-25.05.2020

### სხდომა

- ღია მმართველობის საბჭოს პირველი სხდომის გამართვა
- დებულების დამტკიცება, რომელიც წინასწარ განიხილებოდა სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

15.06.2020

### სხდომა

- ღია მმართველობის საბჭოს მეორე სხდომის გამართვა
- საკონსულტაციო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცება
- ორგანიზაციებისთვის მოსაწვევების წინასწარ მიწოდება
- 12 არასამთავრობო ორგანიზაციის გაწევრება

22.06.2020

### ერთობლივი სხდომა

- ღია მმართველობის საბჭოსა და საკონსულტაციო ჯგუფის ერთობლივი სხდომის გამართვა
- უმაღლესი საბჭოს თანამშრომლების ჩართულობა
- OGP-ში საკანონმდებლო ორგანოთა ჩართულობის გამოცდილების გაზიარება

14.07.2020

*აღნიშნული შეხვედრები აჭარის უმაღლეს საბჭოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებს ეხმარებოდა, რომ განესაზღვრათ ღიაობის გამოწვევები საბჭოს მუშაობაში და გამოევლინათ იდეები ღიაობის პირველი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად.*

[3] „სუსტი ზედამხედველი – NGO-ები უმაღლესი საბჭოს დეპუტატების 4-წლიან საქმიანობაზე“, 5 ოქტომბერი, 2010, Batumelebi.netgazeti.ge, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3FczA7z

# საკონსულტაციო ჯგუფთან თანამშრომლობა და გეგმის დამტკიცება

2020 წლის 6-7 აგვისტოს მოეწყო ღია მმართველობის საბჭოსა და საკონსულტაციო ჯგუფის ერთობლივი შეხვედრა, სადაც განიხილეს ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის ინიციატივები და წარმოადგინეს წინადადებები გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე. 24 ინიციატივიდან ღია მმართველობის საბჭოსთვის მომზადდა 15 ვალდებულება. საბჭომ სრულად უარყო მხოლოდ ერთი წინადადება, რომელიც შეეხებოდა უმაღლესი საბჭოს წევრთა ეთიკის კოდექსის გადამუშავებასა და კონსენსუსით დამტკიცებას (ძირითადად, იმის გამო, რომ მიზანშეუწონლად ჩაითვალა ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოსთვის პოლიტიკური კონსენსუსის ვალდებულების დადგენა), სხვა ინიციატივები კი შეიცვალა და გაერთიანებული სახით შევიდა სამოქმედო გეგმაში. გეგმის ყველა ვალდებულების მიზანია, გაძლიერდეს საკანონმდებლო ორგანოს ღიაობა და ანგარიშვალდებულება, ასევე, გაუმჯობესდეს სამოქალაქო ჩართულობა და საჯარო სერვისების მიწოდება.

პროცესს წინ უძღოდა საჯარო მოწოდება - „ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის იდეებისთვის“[4] - ასევე, საკონსულტაციო ჯგუფის დამოუკიდებელი შეხვედრები, სადაც განიხილებოდა არსებული იდეები.[5] წევრი ორგანიზაციების მიერ მომზადებული ვალდებულებათა პროექტები ხელმისაწვდომია უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.[6] ღია მმართველობის საბჭომ კენჭისყრით მიიღო უმაღლესი საბჭოს აპარატისა და დეპუტატების, ასევე, თავისი საკონსულტაციო ჯგუფის რეკომენდაციები, და სამოქმედო გეგმა უმაღლესი საბჭოს ბიუროს წარუდგინა.[7] 2020 წლის 14 აგვისტოს ბიურომ ერთხმად დაამტკიცა 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა,[8] რომლის 15 ვალდებულება, ღია მმართველობის პრინციპების შესაბამისად, ოთხ ჯგუფად იყოფა:



[4] ინფორმაცია ღია მმართველობის საბჭოს შექმნის შესახებ ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3kElsKJ)

[5] ინფორმაცია საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრის შესახებ ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3MOSJ1J

[6] საკონსულტაციო ჯგუფის მიერ შემოთავაზებული იდეები ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3kGYrqo

[7] ღია მმართველობის საბჭოს სხდომის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია აქ: http://sca.ge/geo/list/show/2238-umaghlesi-sabchos-ghia-mmartvelobis-sabchos-skhdoma

[8] უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://sca.ge/geo/list/show/2239-biuros-skhdoma

**სამოქალაქო ჩართულობა**

1. საჯარო კონსულტაციები საკანონმდებლო პროცესში
2. აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის გაძლიერება სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად
3 აჭარის უმაღლეს საბჭოში მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნა
4. ელექტრონული და წერილობითი პეტიციის სისტემის დანერგვა

**ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**

5. მედიის აკრედიტაციის მექანიზმის შემუშავება
6. შშმ პირთათვის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის ადაპტაცია
7. შშმ პირთათვის უმაღლესი საბჭოს შენობის ადაპტაცია
8. აჭარის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა სმენის არმქონეთათვის - ჟესტურ ენაზე ადაპტირება

**ტექნოლოგიები და ინოვაცია**

9. აჭარის უმაღლესი საბჭოს შენობაში შესვლის, სხდომაზე დასწრებისა და საშვის გაცემის ელექტრონული სისტემის შექმნა
10. აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მისი ორგანოების სხდომების ინტერნეტტრანსლაცია და მოქალაქეთა ჩართულობა
11. უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცის ნუსხის გაზრდა

**ანგარიშვალდებულება**

12. აჭარის უმაღლესი საბჭოს, მისი ორგანოებისა და დეპუტატების საჯარო ანგარიშები მოქალაქეებს
13. უმაღლესი საბჭოს კომიტეტთა სამოქმედო გეგმების შემუშავება და გამოქვეყნება
14. ღია კარის დღე
15. CSO-ის დღე

პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით მომზადდა და დაიბეჭდა სპეციალური კალენდარი, რომლის მიზანია, უმაღლესი საბჭოს წევრებს/თანამშრომლებსა და დაინტერესებულ მხარეებს გაუმარტივოს ინფორმაციის აღქმა და სამოქმედო გეგმის შესრულება.[9]

[9] ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის კალენდარი ხელმისაწვდომია აქ: http://www.sca.ge/res/docs/გეგმისკალენდარი.PDF

# ღია მმართველობის გეგმის შესრულება

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი საბჭო აქტიურად იყო ჩართული ღიაობის ინიციატივათა ინსტიტუციონალიზაციაში. 2021 წლის სექტემბერში საბჭომ 300,000 ლარი გამოყო ღიაობის სამოქმედო გეგმის რამდენიმე ვალდებულების შესასრულებლად, რომელთა შორის იყო: უმაღლესი საბჭოს სესიების პირდაპირი ტრანსლაცია მაღალი ხარისხით, შენობის ხელმისაწვდომობა და ინფრასტრუქტურული სამუშაოები მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის გასახსნელად.

2021 წლის 3 თებერვალს შედგა ღია მმართველობის საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფის ონლაინ შეხვედრა, სადაც განიხილეს ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის ვალდებულებები.

2021 წლის 12 მარტს გაიმართა აჭარის უმაღლესი საბჭოს ახალი მოწვევის ღია მმართველობის საბჭოს პირველი შეხვედრა, რომელზეც წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია სამოქმედო გეგმის ვალდებულებებსა და მათ შესასრულებლად დაგეგმილ აქტივობებზე. შეხვედრისას ვრცლად ისაუბრეს შემდეგ საკითხებზეც: უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის მიმდინარეობა, შესრულებული და მიმდინარე აქტივობები, ასევე, საბჭოს როლი მიზნების განხორციელებასა და მონიტორინგში. ყურადღება გამახვილდა სამოქალაქო საზოგადოების როლსა და მნიშვნელობაზეც კომიტეტთა სამოქმედო გეგმების შემუშავებაში. დაიგეგმა ღია მმართველობის საბჭოსა და საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრა, რათა დეტალურად განეხილათ, თუ როგორ მიმდინარეობდა 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის შესრულება.

შემდგომ, 2021 წლის 1 აპრილის შეხვედრაზე (ჩატარდა ჰიბრიდული ფორმატით - როგორც ონლაინ, ისე ფიზიკურად), მხარეებმა განიხილეს პროგრესი სამოქმედო გეგმის ვალდებულებათა შესრულებაში და განსაზღვრეს ამ კუთხით საჭირო აქტივობები. მათ შორის იყო პარტნიორ ორგანიზაციათა მხარდაჭერა ისეთ პროცესებში, როგორიცაა მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის ჩამოყალიბება, ონლაინპლატფორმის შექმნა, ანგარიშგების პრაქტიკის დანერგვა და ა.შ. შეხვედრაზე საბჭომ ისაუბრა თავის შესაძლო რესურსებზეც ვალდებულებათა შესასრულებლად, კერძოდ, ფინანსების გამოყოფის წინაპირობებზე მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის, სხდომათა ინტერნეტტრანსლაციისა და შენობის ადაპტირებისთვის.

# თვითშეფასების ანგარიშის შემუშავება

2022 წლის 31 მარტს, ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მხარდაჭერით, გაიმართა ტრენინგი, თუ როგორ უნდა მომზადდეს თვითშეფასების ანგარიში ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის შესრულებაზე. შეხვედრას უძღვებოდა ღია მმართველობის სპეციალისტი, ლაშა გოგიძე, და ესწრებოდნენ ღია მმართველობის საბჭოს წევრები, ასევე, თანამშრომლები შემდეგი სტრუქტურული ერთეულებიდან: იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი; საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი; მასმედიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი; და საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი *(დეპარტამენტი ოფიციალურად 1 აპრილიდან ჩამოყალიბდა, ტრენინგს ესწრებოდა ის თანამშრომლები, რომლებიც უკვე შერჩეული იყვნენ დეპარტამენტში).*

აჭარის უმაღლესი საბჭოსთვის მომზადდა ღია მმართველობის თვითშეფასების ანგარიშის სახელმძღვანელო, რათა ანგარიშგების პროცესში გაეთვალისწინებინა ღია მმართველობის პარტნიორობის სტანდარტები და საუკეთესო გამოცდილება.

ტრენინგის შემდეგ, სამუშაო შეხვედრები გაიმართა უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტსა და საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტს შორის. მიმდინარე წლის 12-13 აპრილს, მორიგ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენლებიც, ანგარიშის მოსამზადებელი სამუშაო გადანაწილდა ორ დეპარტამენტს შორის. საჭირო ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების შემდეგ, შესაბამისი ანალიზის საფუძველზე, შეიქმნა საბოლოო ანგარიშის სამუშაო ვერსია.

პროცესი საჯარო იყო: ანგარიშის სამუშაო ვერსია 2022 წლის 6 მაისს გამოქვეყნდა უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე და გაეგზავნა ღია მმართველობის საბჭოსთან არსებულ საკონსულტაციო ჯგუფს.

# სამოქმედო გეგმის ვალდებულებათა შესრულება



| | | |
|---|---|---|
| (red) | ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ / ვალდებულების შესრულება არ დაწყებულა | ღონისძიებების **0%** შესრულდა |
| (yellow) | ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ / ვალდებულება შეზღუდულად შესრულდა | ღონისძიებების **1%-50%** შესრულდა |
| (light green) | ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ / ვალდებულება არსებითად შესრულდა | ღონისძიებების **51%-99%** შესრულდა |
| (dark green) | ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ / ვალდებულება სრულად შესრულდა | ღონისძიებების **100%** შესრულდა |



| | | | | |
|---|---|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი | | | |
| **ვალდებულების აღწერა** | | | | |
| რომელ საზოგადოებრივ პრობლემას ეხება ვალდებულება? | ვალდებულების შესრულებამდე, აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი არ ითვალისწინებდა კანონპროექტთა საჯარო განხილვას ან სხვაგვარ საჯარო კონსულტაციებს.<br><br>აჭარის უმაღლესი საბჭო მუშაობს მნიშვნელოვან კანონპროექტებზე, როგორც რეგიონის, ასევე, ცენტრალურ დონეზე. ამ პროცესში სამოქალაქო ჩართულობა საჭიროებს გააქტიურებას (გამონაკლისია საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც, სავალდებულო წესით, რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში საჯაროდ უნდა განიხილებოდეს).<br><br>ვალდებულების შესრულებამდე, უწყების ვებგვერდი ასეთ შესაძლებლობას არ იძლეოდა. საბჭომ გააცნობიერა, რომ საკანონმდებლო ორგანოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ კანონპროექტებზე კომენტარის დატოვების შესაძლებლობა გაზრდიდა მოქალაქეთა ჩართულობას რეგიონული პოლიტიკის შემუშავებაში და დაიწყო ამ საკითხზე მუშაობა. | | | |
| ვალდებულების შესრულების სტატუსი | **არ დაწყებულა** | **შეზღუდულად შესრულდა** | **არსებითად შესრულდა** | **სრულად შესრულდა** |
| ვალდებულების ეტაპის/ ინდიკატორის შესრულების სტატუსი | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | ინდიკატორის შესრულების სტატუსი | |
| ეტაპი 1<br>აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში კანონპროექტებზე საჯარო კონსულტაციის ფიზიკური ან ელექტრონული ფორმატით ჩატარების ვალდებულების ასახვა | 2020 | 05.2021 | **სრულად შესრულდა**<br><br>უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 86-ე მუხლის მე-8 პუნქტი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:<br><br>**მუხლი 86, პუნქტი 8:** „უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ კანონპროექტთან ან მის ცალკეულ მუხლებთან/პუნქტებთან დაკავშირებით საჯარო კონსულტაციების მიღების მიზნით, ნებისმიერ პირს შეუძლია, დააფიქსიროს თავისი მოსაზრება/შენიშვნა კომენტარის სახით" (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 20 მაისის რეგლამენტი №28-IIს - ვებგვერდი, 25.05.2021).<br><br>შედეგად, შეიქმნა სამართლებრივი საფუძველი ვებგვერდზე კომენტარების დასატოვებლად. | |
| ეტაპი 2<br>უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და აპარატისთვის საკანონმდებლო პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის, უკუკავშირისა და ანგარიშგების სახელმძღვანელოს მომზადება | 11.2020 | | **შეზღუდულად შესრულდა**<br><br>სახელმძღვანელო არ შექმნილა. ანგარიშის მომზადების ეტაპისათვის მხოლოდ დაწყებულია მასზე მუშაობა. | |
| ეტაპი 3<br>თანამშრომელთა გადამზადება კომენტარების/შენიშვნების/მოსაზრებების მოგროვების, ანალიზის, უკუკავშირის წარმოებისა და ანგარიშგების საკითხებზე | 03.2021 | 05.2021 | არ დაწყებულა | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ეტაპი 4<br>ვებგვერდზე ატვირთულ კანონპროექტებზე კომენტარის გაკეთების და/ან შეთავაზების/მოსაზრებების ატვირთვის შესაძლებლობის დანერგვა/პლატფორმის შექმნა | 03.2021 | 04.2022 | **სრულად შესრულდა**<br>შეიქმნა ონლაინპლატფორმა chaerte.sca.ge, რომელიც იძლევა ატვირთულ კანონპროექტებზე კომენტარის და/ან შეთავაზების /მოსაზრების დატოვების შესაძლებლობას |
| ეტაპი 5<br>უმაღლეს საბჭოში წარდგენილ კანონპროექტებზე ან საქართველოს კანონმდებლობის ინიციატივებზე საჯარო განხილვების ფიზიკური და ელექტრონული ფორმატით ჩატარების პრაქტიკის დანერგვა | 03.2021 | | **შეზღუდულად შესრულდა**<br>2021 წლის მარტში აჭარის უმაღლესმა საბჭომ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად განიხილა თავისი ერთ-ერთი აქტის - *მედიის აკრედიტაციის წესის* პროექტი. პროცესში ჩართულნი იყვნენ მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა წარმომადგენლები (იხ. ანგარიში მე-5 ვალდებულებაზე). |
| ხელშემშლელი გარემოებები | ვალდებულებისა და მისი ეტაპების შესრულება გარკვეულწილად გაჭიანურდა პანდემიისა და, ძირითადად, ადამიანური რესურსების სიმცირის გამო (შესაბამისი სახელმძღვანელოს მოსამზადებლად და თანამშრომელთა გადასამზადებლად). დაწესებული შეზღუდვების შედეგად, ვერ მოხერხდა ფიზიკური განხილვების ორგანიზება, ონლაინგანხილვებისთვის კი საკმარისი არ აღმოჩნდა არსებული ტექნიკური რესურსები. გაჭიანურდა ფინანსების მოძიების პროცესიც, რის გამოც დაგვიანდა პლატფორმის მომზადება: ის მხოლოდ 2022 წლის დასაწყისში ამოქმედდა, რამაც, თავისთავად, შეაფერხა კანონპროექტებზე კომენტარის დატოვებისა და უკუკავშირის პრაქტიკის დანერგვა. | | |
| შედეგების აღწერა | • აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი უკვე ითვალისწინებს<br>• კანონპროექტებზე საჯარო კონსულტაციებს ფიზიკური ან<br>• ელექტრონული ფორმატით;<br>• დაწყებულია მუშაობა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის, უკუკავშირისა და ანგარიშგების სახელმძღვანელოზე;<br>• უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე ინტეგრირებულია კომენტარების ან/და შეთავაზებების/მოსაზრებების წარდგენის ფუნქციონალი. | | |
| შემდეგი ნაბიჯები | შეიძლება ვალდებულება გაგრძელდეს ახალ სამოქმედო გეგმაშიც, რადგან მნიშვნელოვანია რეგლამენტში შეტანილი საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში დანერგვა და პოპულარიზაცია. | | |

## საკონტაქტო ინფორმაცია

| | | |
|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | | უმაღლესი საბჭოს აპარატი |
| პასუხისმგებელი პირები (თანამდებობა) | | ზურაბ ჭურკვეიძე |
| ელფოსტა და სამსახურებრივი ტელეფონი | | ტელ.: 577 472 147<br>ელფოსტა: ztchurkveidze@gmail.com |
| **სხვა ჩართული აქტორები** | სამინისტროები, დეპარტამენტი/უწყება | • უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი<br>• უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |
| | სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციები, სამუშაო ჯგუფები | • გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)<br>• ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) |

ვალდებულება 2:

# აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის გაძლიერება სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად

ვალდებულების დაწყებისა და დასრულების თარიღი
(სექტემბერი 2020 - დეკემბერი 2021 „მუდმივად")

| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო | | |
|---|---|---|---|
| ვალდებულების აღწერა | | | |
| რომელ საზოგადოებრივ პრობლემას ეხება ვალდებულება? | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზედამხედველობა. მართალია, საბჭოს რეგლამენტით რამდენიმე ახალი მექანიზმი დაინერგა, თუმცა მათი უდიდესი ნაწილი არ ითვალისწინებს სამოქალაქო ჩართულობას აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლში.<br>ამ ეტაპზე არ არსებობს მნიშვნელოვან პროექტთა (საწყის ეტაპზე - ინფრასტრუქტურულ და სხვა მსხვილ პროექტთა) ერთიანი ვებპორტალი, სადაც განთავსდება ინფორმაცია საბიუჯეტო ხარჯებზე (პროექტი, სატენდერო დოკუმენტაცია, დოკუმენტაცია მხარჯავი დაწესებულების მხრიდან ზედამხედველობაზე, ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს მხრიდან ზედამხედველობაზე და ა.შ.). | | |

| ვალდებულების შესრულების სტატუსი | **არ დაწყებულა** | **შეზღუდულად შესრულდა** | **არსებითად შესრულდა** | **სრულად შესრულდა** |
|---|---|---|---|---|
| ვალდებულების ეტაპის/ინდიკატორის შესრულების სტატუსი | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | ინდიკატორის შესრულების სტატუსი | |
| ეტაპი 1<br>საზედამხედველო მექანიზმისა და შესაბამისი პროცედურების შემუშავება სამოქალაქო სექტორის ჩართულობით, ვებპორტალის კონცეფციის შემუშავება | | | **არ დაწყებულა** | |
| ეტაპი 2<br>რეგლამენტში საჭირო ცვლილებების განხორციელება | | | **არ დაწყებულა** | |
| ეტაპი 3<br>უმაღლესი საბჭოსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შორის სამუშაო შეხვედრების გამართვა შესაბამისი მექანიზმებისა და პროცედურების შესახებ, ვებპორტალის დანერგვისათვის პარტნიორის მოძიება | | | **არ დაწყებულა** | |
| ეტაპი 4<br>საზედამხედველო პროცესის ანგარიშგებისთვის დეპუტატების, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისა და საბჭოს აპარატისთვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება და გადამზადება | | | **არ დაწყებულა** | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ეტაპი 5<br>ვებპორტალის სატესტო რეჟიმში ჩაშვება - პროექტების შესახებ ინფორმაციის ეტაპობრივი განთავსება | | | **არ დაწყებულა** |
| ეტაპი 6<br>საზედამხედველო პროექტების შერჩევა და სამოქალაქო ჩართულობით ზედამხედველობის განხორციელება | | | **არ დაწყებულა** |
| ეტაპი 7<br>სპროექტებზე ზედამხედველობის შესახებ სათანადო ანგარიშგება და ინფორმაციის ვებპორტალზე განთავსება | | | **არ დაწყებულა** |
| ხელშემშლელი გარემოებები | ვერ მოხერხდა ფინანსური რესურსების დროულად მოძიება და აღმასრულებელი ხელისუფლების ამ ვალდებულებით შემოთავაზებული საზედამხედველო მექანიზმისა და პროცედურების შემუშავება (პროექტთა ერთიანი პორტალის შექმნა). | | |
| შედეგების აღწერა | ვერ მოხერხდა აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად: შესაბამისი საზედამხედველო მექანიზმი და პროცედურები არ შემუშავებულა და შედეგიც ვერ დადგა.<br>აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის მექანიზმი რეგულირდება კანონმდებლობით: აჭარის კონსტიტუცია (მუხლი 15) და *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგლამენტი (მუხლები 126-130, 134 და 135).* | | |
| შემდეგი ნაბიჯები | შემდგომ სამოქმედო გეგმაში ამ ვალდებულების გათვალისწინებაზე იმსჯელებს ღია მმართველობის საბჭო, საკონსულტაციო ჯგუფთან ერთად. გადაწყვეტილების შესაბამისად, შეიძლება გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:<br>• ფინანსური რესურსების დროულად მოძიება პროექტთა ერთიანი პორტალის შესაქმნელად;<br>• საზედამხედველო პროექტების შერჩევა და, დარგობრივი კომიტეტების მეშვეობითა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, ზედამხედველობა მათ განხორციელებაზე. | | |

| საკონტაქტო ინფორმაცია | | |
|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | | უმაღლესი საბჭოს აპარატი |
| პასუხისმგებელი პირები (თანამდებობა) | | ზურაბ ჭურკვეიძე |
| ელფოსტა და სამსახურებრივი ტელეფონი | | ტელ.: 577 472 147<br>ელფოსტა: ztchurkveidze@gmail.com |
| **სხვა ჩართული აქტორები** | სამინისტროები, დეპარტამენტი/უწყება | |
| | სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, კერძო სექტორი,<br>საერთაშორისო ორგანიზაციები, სამუშაო ჯგუფები | |

ვალდებულება 3:

# აჭარის უმაღლესი საბჭოს მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნა

ვალდებულების დაწყებისა და დასრულების თარიღი
(სექტემბერი 2020 - აპრილი 2022)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო | | | |
| ვალდებულების აღწერა | | | | |
| რომელ საზოგადოებრივ პრობლემას ეხება ვალდებულება? | 2020 წლის დასაწყისიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აქტიურად ნერგავს ღია და საჯარო პრაქტიკას საკუთარ საქმიანობაში. თუმცა გამოწვევად რჩება მოქალაქეთა მიღება ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე და უფრო მჭიდრო კავშირი მათთან. ამასთან, უმაღლესი საბჭოს შენობის მხოლოდ ნაწილია ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის და მისი სრულად მორგება ძალზე დიდ დროსა და ფინანსურ (თუ სხვა) რესურსს მოითხოვს.<br>2020 წლიდან განსაკუთრებულ გამოწვევად იქცა მომსახურების მიწოდება მინიმალური ფიზიკური კონტაქტით, კორონავირუსის გავრცელების შესამცირებლად. ამის ფონზე, მოქალაქის მიერ საშვის მიღება უმაღლესი საბჭოს შენობაში შემოსასვლელად, შესაბამის პირებთან გასაუბრება და განცხადების დატოვება საჭიროებს რამდენიმე ადამიანთან კომუნიკაციას, რაც ზრდის ვირუსის გავრცელების რისკს.<br>ცალკე აღსანიშნავია აჭარის უმაღლესი საბჭოს შენობა - თავისთავად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და ბათუმის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი, რომელსაც საბჭო სხვადასხვა ღონისძიებისთვის იყენებს (მათ შორის, სტუდენტებსა თუ მოსწავლეებთან შეხვედრებისთვისაც). შენობაში უკვე თავმოყრილია არაერთი ისტორიული ნივთი და ხელოვნების ნიმუში, თუმცა ჯერ არ შემუშავებულა ერთიანი საექსკურსიო პროგრამა. ეს ჯერჯერობით ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა გაზრდიდა ცნობადობას როგორც საბჭოზე, ისე მის და, ზოგადად, პარლამენტარიზმის ისტორიაზე. | | | |
| ვალდებულების შესრულების სტატუსი | არ დაწყებულა | შეზღუდულად შესრულდა | არსებითად შესრულდა | **სრულად შესრულდა** |
| ვალდებულების ეტაპის/ინდიკატორის შესრულების სტატუსი | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | ინდიკატორის შესრულების სტატუსი | |
| ეტაპი 1<br>აჭარის უმაღლესი საბჭოს სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის კონცეფციის შემუშავება | 09.2020 | 03.2021 | **სრულად შესრულდა**<br>პარტნიორ ორგანიზაციათა მხარდაჭერით, შემუშავდა აჭარის უმაღლესი საბჭოს მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის კონცეფცია, რომელიც ღიად განთავსდა უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე: https://bit.ly/3vKN07E | |
| ეტაპი 2<br>მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის კონცეფციის განხილვა და დამტკიცება | 04.2021 | 06.2021 | **სრულად შესრულდა**<br>კონცეფცია განიხილეს როგორც აჭარის უმაღლესი საბჭოს აპარატმა, ასევე ღია მმართველობის საბჭომ და მასთან მოქმედმა საკონსულტაციო ჯგუფმა (2021 წლის 1 აპრილი). მიღებული უკუკავშირის მიხედვით, დოკუმენტი, თანდართულ სამოქმედო გეგმასთან ერთად, გადამუშავდა.<br>(ინფორმაცია 2021 წლის 1 აპრილის შეხვედრის შესახებ: https://bit.ly/3Fks3U8) | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ეტაპი 3<br>ექსკურსიის პროგრამის შემუშავება (კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს, მუზეუმების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობით) და დამტკიცება | 09.2020 | 10.2021 | **სრულად შესრულდა**<br>აჭარის უმაღლესი საბჭოს აპარატმა შეიმუშავა საექსკურსიო პროგრამა, თუმცა ვერ მოახერხა მისი განხილვა გარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, ფიზიკურ შეხვედრებზე დაწესებული შეზღუდვებიდან და პროგრამის დაგვიანებული შემუშავებიდან გამომდინარე. |
| ეტაპი 4<br>მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნა, მოწყობა, აღჭურვა და საინფორმაციო მასალების მომზადება | 10.2021 | 04.2022 | **სრულად შესრულდა**<br>საბჭოს 2021 წლის ბიუჯეტში გაჩენილი დანაზოგების შედეგად, გამოიყო თანხა და გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (NAT) NAT210019702 მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის მოსაწყობად და აღსაჭურვად.[10] შედეგად, აიგო სრულად ადაპტირებული სივრცე, სადაც განთავსდა შეხვედრების მაგიდა, გამოიყო თანამშრომლის სამუშაო სივრცე და დაიდგა დაფები საინფორმაციო მასალებისთვის. შემუშავდა საინფორმაციო მასალა პეტიციის შესახებ და მზადდება მასალები ჩართულობის სხვა მექანიზმებზე (სულ 10-მდე ბროშურა ან ფლაერი). |
| ეტაპი 5<br>მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრში ადაპტირებული სერვისების დანერგვა, თანამშრომელთათვის ინსტრუქციის შემუშავება და მათი გადამზადება | 03.2022 | 04.2022 | **სრულად შესრულდა**<br>ცენტრის თანამშრომლებთან ჩატარდა სამუშაო შეხვედრა მოქალაქეთა ჩართულობის საკითხებზე და ცენტრის მიერ მისაწოდებელ სერვისებზე. 2022 წლის მაისის დასაწყისში დამატებით ჩატარდა ტრენინგები მომსახურების სტანდარტებსა და შშმ პირთათვის მომსახურების გაწევაზე; შემუშავდა თანამშრომელთა სახელმძღვანელო ინსტრუქციებიც. |
| ეტაპი 6<br>ექსკურსიის პოპულარიზაცია და მუდმივი ექსკურსიების განრიგის/პროცედურის დანერგვა | 02.2022 | 04.2022 | **არსებითად შესრულდა**<br>მოქალაქეთა ჩართულობის ელექტრონულ პლატფორმაზე chaerte.sca.ge განთავსდა ინფორმაცია ექსკურსიებზე და გამოიყო პასუხისმგებელი თანამშრომელი (ცირა ხაჯიშვილი, რათა ამ პროცესს მუდმივი სახე მიეცეს. 2022 წლის აპრილში უკვე ჩატარდა ერთი ექსკურსია განახლებული პროგრამით.[11]<br>მეტი პოპულარიზაციისთვის, მზადდება საინფორმაციო მასალებიც (ბროშურები). |



[10] მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის მოწყობის ტენდერის დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია აქ: http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=423622&lang=ge

[11] განახლებული საექსკურსიო პროგრამით ჩატარებული პირველი ექსკურსიის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3kCPZIH

| | |
|---|---|
| ხელშემშლელი გარემოებები | ვალდებულებისა და მისი ეტაპების შესრულება ძირითადად გააჭიანურა ფინანსების არადროულმა გამოყოფამ (ამ თანხების მობილიზება მხოლოდ 2021 წლის ბოლოს მოხერხდა). შეფერხდა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების შესრულებაც: სამუშაოები, 2021 წლის ბოლოს ნაცვლად, 2022 წლის მარტში დასრულდა და გართულდა ამ საკითხზე მიბმულ სხვა აქტივობათა განხორციელებაც.<br>აჭარის უმაღლესი საბჭოს აპარატიდან შესაბამისი თანამშრომლების გამოყოფა დამოკიდებული იყო ცენტრის სამუშაოების დასრულებაზე. ამიტომ, შესაბამის პირებს სათანადო ფუნქციები დაეკისრათ 2022 წლის 1 აპრილიდან, რამაც გადაავადა მათი გადამზადება და სახელმძღვანელო ინსტრუქციების მომზადება. |
| შედეგების აღწერა | აჭარის უმაღლეს საბჭოში უკვე ფუნქციონირებს მოქალაქეთა ჩართულობის ადაპტირებული სივრცე, რომელზეც მოქალაქეებს წვდომა აქვთ საშვის პროცედურისა და ბიუროკრატიული მექანიზმების გარეშე. მათ მარტივად შეუძლიათ ინფორმაციის მიღება უმაღლეს საბჭოზე, მის გეგმებსა და შესრულებულ აქტივობებზე. ასევე ეძლევათ საშუალება, იქვე მიიღონ ელექტრონული სერვისები (საჭიროების შემთხვევაში - დახმარებაც მათ გამოსაყენებლად), დაწერონ განცხადებები, ჩანიშნონ შეხვედრები შესაბამის თანამდებობის პირებთან, განთავსებულ ეკრანზე თვალი ადევნონ სხდომების პირდაპირ ეთერს და ისარგებლონ სხვა მომსახურებებით. |
| შემდეგი ნაბიჯები | • საინფორმაციო მასალების მომზადება დონორის მხარდაჭერით და განთავსება ჩართულობის ცენტრში. |



## საკონტაქტო ინფორმაცია

| | | |
|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | | უმაღლესი საბჭოს მოქალაქეთა ჩართულობის განყოფილება |
| პასუხისმგებელი პირები (თანამდებობა) | | ცირა ხაჭიშვილი (განყოფილების უფროსი) |
| ელფოსტა და სამსახურებრივი ტელეფონი | | ტელ.: 032 228 54 79<br>ელფოსტა: Tsira1616@gmail.com |
| **სხვა ჩართული აქტორები** | სამინისტროები, დეპარტამენტი/უწყება | |
| | სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, კერძო სექტორი,<br>საერთაშორისო ორგანიზაციები, სამუშაო ჯგუფები | • გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) საქართველოში<br>• ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)<br>• შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საინფორმაციო ცენტრი |



ვალდებულება 4:

# ელექტრონული და წერილობითი პეტიციის სისტემის დანერგვა

ვალდებულების დაწყებისა და დასრულების თარიღი
(სექტემბერი 2020 - ოქტომბერი 2021)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი | | | |
| ვალდებულების აღწერა | | | | |
| რომელ საზოგადოებრივ პრობლემას ეხება ვალდებულება? | უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებს პეტიციის წარდგენას - არც წერილობითი და არც ელექტრონული ფორმით.<br>პეტიცია მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ჩართულობისთვის და ღია მმართველობის პრინციპთა დასანერგად.<br>აუცილებელია პეტიციებით მიმართვისა და განხილვის წესის დანერგვა საერთაშორისო სტანდარტთა შესაბამისად. | | | |
| ვალდებულების შესრულების სტატუსი | **არ დაწყებულა** | **შეზღუდულად შესრულდა** | **არსებითად შესრულდა** | **სრულად შესრულდა** |
| ვალდებულების ეტაპის/ ინდიკატორის შესრულების სტატუსი | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | ინდიკატორის შესრულების სტატუსი | |
| ეტაპი 1<br>ელექტრონული და წერილობითი პეტიციის წარდგენის დანერგვის მიზნით, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესაბამისი ცვლილების შეტანა | 09.2020 | 12.2020 | **სრულად შესრულდა**<br>უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შევიდა შესაბამისი ცვლილებები და დეტალურად გაიწერა პეტიციის (წერილობითი/ელექტრონული) წარდგენის, გამოქვეყნების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურა (იხ. ცვლილება). | |
| ეტაპი 2<br>უმაღლესი საბჭოს შესაბამისი თანამშრომლების გადამზადება | 12.2020 | 03.2021 | **სრულად შესრულდა**<br>2021 წლის 23 აპრილს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) აჭარის უმაღლესი საბჭოს თანამშრომლებთან გამართა სამუშაო შეხვედრა პეტიციის წარდგენისა და განხილვის პროცედურებზე. შეხვედრას ესწრებოდა პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის წარმომადგენელიც, რომელმაც მონაწილეებს პარლამენტის გამოცდილება გაუზიარა.[12] | |
| ეტაპი 3<br>წერილობით პეტიციის წარდგენის დანერგვა (ამოქმედება) | 03.2021 | 05.2021 | **სრულად შესრულდა**<br>უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შეტანილი ცვლილებებით, დაინერგა და ამოქმედდა წერილობითი პეტიციის წარდგენის მექანიზმი.<br>ამ ეტაპისთვის, უმაღლეს საბჭოში აღნიშნული მექანიზმით პეტიცია არ შემოსულა. | |

[12] ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის მე-4 და მე-13 ვალდებულებებთან დაკავშირებით რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებები იხ. ბმულზე https://bit.ly/3ye3V3S

| | | | |
|---|---|---|---|
| ეტაპი 4<br>ელექტრონული პეტიციის პლატფორმის კონცეფციისა და ტექნიკური დავალების დამუშავება | 01.2021 | 10.2021 | **სრულად შესრულდა**<br>დამტკიცდა პეტიციის წარდგენისა და განხილვის წესი და ელექტრონული პეტიციის მომზადებისა და მხარდაჭერის ინსტრუქცია; ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მხარდაჭერით, ტარდებოდა სამუშაო შეხვედრები, რომლებშიც ჩართულნი იყვნენ საბჭოს თანამშრომლები და ახალი პლატფორმის შექმნაზე მომუშავე ჯგუფის წევრები.<br>ამ წესებისა და პროცედურების საფუძველზე, აეწყო და სატესტო რეჟიმში ჩაეშვა პლატფორმა chaerte.sca.ge. შესაბამისად, აღარ გახდა საჭირო კონცეფციის დამტკიცება. 13 აპრილის მდგომარეობით, პლატფორმაზე უკვე გამოქვეყნებულია 3 ელექტრონული პეტიცია. [13] |
| ხელშემშლელი გარემოებები | ვალდებულება სრულად შესრულდა, ხელშემშლელი გარემოებები არ არსებობდა. | | |
| შედეგების აღწერა | • გადამზადდა პეტიციაზე მომუშავე ყველა თანამშრომელი აპარატში;<br>• ცვლილებები შევიდა რეგლამენტში;<br>• დაინერგა წერილობითი პეტიციის მექანიზმი (25.12.2020);<br>• შეიქმნა ახალი პლატფორმა - Chaerte.sca.ge და ამოქმედდა ელექტრონული პეტიციის მექანიზმი (01.01.2022);<br>• გამოქვეყნდა შემდეგი 3 პეტიცია:<br>1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების/მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავება;<br>2. აჭარის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი დასახლებების მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფა;<br>3. აჭარის მუნიციპალიტეტების ცენტრებში თავისუფალი სივრცეების მოწყობა.<br>• წერილობითი და ელექტრონული პეტიციის პოპულარიზაციისთვის, მომზადდა და გავრცელდა საინფორმაციო მასალები (როგორც ფიზიკური ფორმით, ასევე სოციალური ქსელების საშუალებით).[14] | | |
| შემდეგი ნაბიჯები | ვალდებულება სრულად შესრულდა. გაგრძელდება მუშაობა მექანიზმის მდგრადობისა და პოპულარიზაციისთვის, რათა მოქალაქეებმა აქტიურად გამოიყენონ პრაქტიკაში.<br>მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, საბჭომ გადახედოს ვალდებულების შესრულებას, შეაფასოს და გაანალიზოს შედეგები და, საჭიროების შემთხვევაში, დაგეგმოს სიახლეები. | | |

[13] Chaerte.sca.ge-ზე გამოქვეყნებული პეტიციები ხელმისაწვდომია აქ: https://chaerte.sca.ge/ge/petitions
პეტიციის ინსტიტუტის დანერგვის შესახებ რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებები ხელმისაწვდომია აქ: https://rb.gy/ig36og

[14] უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია პეტიციების მიღება-განხილვის შესახებ ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/36TXOqi; interpressnews-ზე განთავსებული ინფორმაცია პეტიციების შესახებ ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულებზე: https://bit.ly/3OFNOlF, https://bit.ly/3xTV7Ae; ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ განთავსებული ინფორმაცია პეტიციის შესახებ ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3voe4Jv; უმაღლესი საბჭოს Facebook-ს პოსტი პეტიციის შესახებ ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3KqIPSt; „ბათუმელების“ მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია პეტიციის შესახებ ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3y03b2v; აჭარის ტელევიზიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია პეტიციის შესახებ ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3LtBSkM

| საკონტაქტო ინფორმაცია | | |
|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | | • უმაღლესი საბჭოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი<br>• საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი |
| პასუხისმგებელი პირები (თანამდებობა) | | ვაჟა ცეცხლაძე<br>(დეპარტამენტის უფროსი)<br>პაატა კეშელავა<br>(კომიტეტის აპარატის უფროსი) |
| ელფოსტა და სამსახურებრივი ტელეფონი | | ელფოსტა: vazhatsetskhladze@gmail.com<br>ტელ.: 032 228 54 50<br>ელფოსტა: pkeshelava@yahoo.com<br>ტელ.: 032 228 54 77 |
| **სხვა ჩართული აქტორები** | სამინისტროები,<br>დეპარტამენტი/უწყება | • უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტი<br>• უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფი<br>• საქართველოს პარლამენტი |
| | სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, კერძო სექტორი,<br>საერთაშორისო ორგანიზაციები, სამუშაო ჯგუფები | • გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)<br>• ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) |



ვალდებულება 5:

# მედიის აკრედიტაციის მექანიზმის შემუშავება

ვალდებულების დაწყებისა და დასრულების თარიღი
(სექტემბერი 2020 - აპრილი 2021)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი:<br>• მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი<br>• იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი | | | |
| ვალდებულების აღწერა | | | | |
| რომელ საზოგადოებრივ პრობლემას ეხება ვალდებულება? | უმაღლესი საბჭოს შენობაში გარეშე პირები შედიან უსაფრთხოების წესების შესაბამისად, მასმედიის წარმომადგენლებისთვის კი მოქმედებს აკრედიტაციის წესი. ამ წესის მიღებამდე, მედიის წარმომადგენლებს უმაღლეს საბჭოში ყოველი ვიზიტისას უწევდათ ერთჯერადი საშვის მიღება. ეს საჭიროებდა გარკვეულ პროცედურებსა და დროს და უარყოფითად აისახებოდა საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობაზე.<br>მიზანშეწონილია, უმაღლესმა საბჭომ შეიმუშაოს და მიიღოს მედიის წარმომადგენელთა აკრედიტაციის წესი, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს საქმიანობის საჯაროობას, ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალობას. | | | |
| ვალდებულების შესრულების სტატუსი | **არ დაწყებულა** | **შეზღუდულად შესრულდა** | **არსებითად შესრულდა** | **სრულად შესრულდა** |
| ვალდებულების ეტაპის/ინდიკატორის შესრულების სტატუსი | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | ინდიკატორის შესრულების სტატუსი | |
| ეტაპი 1<br>აკრედიტაციის წესის შემუშავება | 09.2020 | 10.2020 | **სრულად შესრულდა**<br>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში განსაზღვრულ ვადაში შემუშავდა პრესკონფერენციის გამართვისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა აკრედიტაციის წესი. | |
| ეტაპი 2<br>აკრედიტაციის წესის განხილვა სამოქალაქო სექტორისა და მედიის წარმომადგენლებთან | 09.2020 | 03.2021 | **სრულად შესრულდა**<br>აკრედიტაციის წესის პროექტის განსახილველად, გაიმართა სამუშაო შეხვედრა, მედიასაშუალებებისა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობით. გამოთქმული შენიშვნების უმრავლესობა აისახა აკრედიტაციის წესის საბოლოო ვარიანტში: https://bit.ly/3OXd3QI | |
| ეტაპი 3<br>აკრედიტაციის წესის დამტკიცება და გაცნობა უმაღლესი საბჭოს შესაბამისი თანამშრომლებისათვის | 11.2020 | 12.2020 | **სრულად შესრულდა**<br>აკრედიტაციის წესს გაეცნო მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის (ვალდებულების შესრულებისას ამ ერთეულს ერქვა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის დეპარტამენტი) ყველა თანამშრომელი და გამოქვეყნდა უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე: https://bit.ly/3sg9uew | |

| | |
|---|---|
| ხელშემშლელი გარემოებები | შემუშავებული წესის პროექტი კომენტარებისა და მოსაზრებების წარსადგენად ელფოსტით გადაეგზავნათ მედიასაშუალებებს, თუმცა ამ ფორმით მათ უკუკავშირი არ მოუწოდებიათ. შესაბამისად, ვალდებულება შესრულდა დაგვიანებით, როცა შესაძლებელი გახდა ფიზიკური განხილვის ორგანიზება. |
| შედეგების აღწერა | • შემუშავდა აკრედიტაციის წესის პროექტი;<br>• აკრედიტაციის წესის საბოლოო ვარიანტი ჩამოყალიბდა მედიის წარმომადგენლებისა და სამოქალაქო სექტორის მონაწილეობით;<br>• აკრედიტაციის წესი დამტკიცდა;<br>• მოთხოვნის შესაბამისად, საακრედიტაციო მოწმობები დამზადდა და გაიცა მედიის შემდეგი წარმომადგენლებისთვის:<br>1. აჭარის ტელევიზია - 1-წლიანი აკრედიტაცია 14 თანამშრომელზე და 3-თვიანი მოწმობები 10 პირისთვის (ჟურნალისტი, ოპერატორი, რეჟისორი, პირდაპირი ჩართვის ჯგუფი და ა.შ)<br>2. ტვ ფორმულა - 3 თანამშრომელი<br>3. ფაქტმეტრი - 1 თანამშრომელი<br>4. გაზეთი აჭარა - 3 თანამშრომელი<br>5. ტვ იმედი - 2 თანამშრომელი<br>6. შპს მთავარი - 2 თანამშრომელი<br>7. ტვ 25 – 10 თანამშრომელი<br>• საკანონმდებლო ორგანოში ვიზიტისას, მასმედიის წარმომადგენლები სისტემატურად იყენებენ საακრედიტაციო ბარათებს ამ წესს მიხედვით;<br>• წესი გამოქვეყნებულია ვებგვერდზე www.sca.ge და პლატფორმაზე chaerte.sca.ge. ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მისი გაცნობა და აკრედიტაციის მოთხოვნა-მიღება დადგენილი პროცედურების მიხედვით. |
| შემდეგი ნაბიჯები | • წესის თანახმად, მომავალშიც გაიცემა მედიასაშუალებებზე შესაბამისი საακრედიტაციო მოწმობები;<br>• უკუკავშირის საფუძველზე, შესაძლოა, წესი გადაიხედოს სათანადო ცვლილებების შესატანად. |

## საკონტაქტო ინფორმაცია

| | | |
|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | | მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |
| პასუხისმგებელი პირები (თანამდებობა) | | ფერიდე უსტიაშვილი -<br>დეპარტამენტის უფროსი<br>სუზანა ვაშაყმაძე -<br>მასმედიასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი |
| ელფოსტა და სამსახურებრივი ტელეფონი | | ელფოსტა: ustiashvilif@gmail.com<br>ტელ.: 032 2 28 54 90<br>ელფოსტა: suzi_vashackmadze@sca.ge<br>ტელ.: 032 2 28 54 79 |
| **სხვა ჩართული აქტორები** | სამინისტროები, დეპარტამენტი/უწყება | იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი |
| | სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, კერძო სექტორი,<br>საერთაშორისო ორგანიზაციები, სამუშაო ჯგუფები | • მასმედიის წარმომადგენლები (გაზეთი აჭარა, ტვ 25, ტვ აჭარა, ფაქტჩეკი, რადიო აჭარა, ტვ 12);<br>• განხილვაში ჩართული სამოქალაქო ორგანიზაციები: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. |

## ვალდებულება 6:

# სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის ადაპტირება

ვალდებულების დაწყებისა და დასრულების თარიღი

(დეკემბერი 2020 - ივლისი 2021)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი<br>• მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი<br>• იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი | | | |
| **ვალდებულების აღწერა** | | | | |
| რომელ საზოგადოებრივ პრობლემას ეხება ვალდებულება? | გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირებით, 2013 წელს საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ ხელს შეუწყობდა შშმ პირთა უფლებების დაცვას. მოქალაქეთა ინკლუზიური ჩართულობა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია. სწორედ მის დასაცავად გახდა საჭირო აღნიშნული ვალდებულების ასახვა სამოქმედო გეგმაში და მისი შესრულება.<br>აჭარის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი sca.ge არ იყო ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და მორგებული ხმოვან წამკითხველ პროგრამებზე.<br>შეუძლებელი იყო, ყველას თანაბრად ესარგებლა საკანონმდებლო ორგანოს ვებგვერდით და მიეღო მისთვის საინტერესო და სასურველი ინფორმაცია. | | | |
| ვალდებულების შესრულების სტატუსი | **არ დაწყებულა** | **შეზღუდულად შესრულდა** | **არსებითად შესრულდა** | **სრულად შესრულდა** |
| ვალდებულების ეტაპის/ინდიკატორის შესრულების სტატუსი | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | ინდიკატორის შესრულების სტატუსი | |
| ეტაპი 1<br>ვებგვერდის სპეციალური საჭიროებებისადმი ადაპტირების კონცეფციის შემუშავება | 12.2020 | 06.2021 | **სრულად შესრულდა**<br>დონორი და პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, მომზადდა აჭარის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის მისაწვდომობის კონცეფცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. შემუშავების პროცესი დაეყრდნო Web Content Accessibility Guidelines (WCAG) 2.1-ს. ავტორიტეტული გლობალური გაერთიანების WCAG-ის მიზანია ერთიანი მისაწვდომობის სტანდარტის შექმნა შშმ პირებისთვის. კონსულტაციებში ჩართულნი იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის - აჭარას წარმომადგენლები.[15] | |



[15] უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის მისაწვდომობის კონცეფცია ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3FhRs0R

| | | | |
|---|---|---|---|
| ეტაპი 2<br>ვებგვერდის სპეციალური საჭიროებებისადმი ადაპტაციისთვის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მომზადება | 06.2021 | 07.2021 | **სრულად შესრულდა**<br>ვებგვერდის ადაპტირების კონცეფცია ასევე იყო ვებგვერდის ადაპტირების პროექტიც. შესაბამისად, საჭირო გახდა ხარჯთაღრიცხვის მომზადება მის საფუძველზე. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) გამოიკვლია ბაზარი ვებგვერდის ადაპტირებისთვის საჭირო ხარჯთაღრიცხვის დასადგენად და მოსამზადებლად.<br>ვალდებულების ინდიკატორები მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ვებგვერდის სტანდარტთა შესაბამისად ადაპტირების პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შემუშავება, პროექტის დამტკიცება და ადაპტაციის სამოქმედო გეგმის განსაზღვრა.<br>ვალდებულების ორივე ეტაპის შესრულებით, ინდიკატორებით დასახული შედეგი მიღწეულია: შემუშავებულია ადაპტირების კონცეფცია და პროექტი, ასევე, მომზადებულია ხარჯთაღრიცხვა. ადაპტაციის სამოქმედო გეგმა არ შემუშავებულა, რამდენადაც კონცეფციისა და ხარჯთაღრიცხვის მომზადება საკმარისი აღმოჩნდა ვებგვერდის ადაპტირებისთვის.[16] |
| ხელშემშლელი გარემოებები | ვალდებულების შესრულებას ხელი არ შეშლია. | | |
| შედეგების აღწერა | ვალდებულების ეტაპების შესრულების გარდა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან თანამშრომლობით, ასევე, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, მოხერხდა უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის (sca.ge) ადაპტირება, რომელიც უკვე ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.<br>ადაპტირებულ ვებგვერდზე შესაძლებელია ტექსტის, ფონის, ფერისა და შრიფტის შეცვლა. სპეციალური წამკითხველი პროგრამით, რომლის საინსტალაციო ფაილიც განთავსებულია ვებგვერდზე, შესაძლებელია ტექსტის ხმოვანი წაკითხვა; ვებგვერდი ასევე იძლევა საშუალებას, რომ საინფორმაციო მასალები განთავსდეს სინქრონული სუბტიტრებით.<br>ვებგვერდის ადაპტირება უმაღლეს საბჭოს ხელს შეუწყობს, რომ გაზარდოს თანაბარი ხელმისაწვდომობა ვებგვერდის შინაარსზე და უზრუნველყოს მოქალაქეთა ინკლუზიური ჩართულობა. თავის მხრივ, ეს გაზრდის უმაღლესი საბჭოს გამჭვირვალობასა და ღიაობას და დადებით ზეგავლენას მოახდენს მოქალაქეთა ჩართულობაზე აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. | | |
| შემდეგი ნაბიჯები | *ვალდებულება სრულად შესრულდა*, თუმცა გაგრძელდება მუშაობა, რათა მოხერხდეს ვებგვერდის პოპულარიზაცია და შემდგომი დახვეწა შშმ პირთა მოსაზრებების გათვალისწინებით. | | |

## საკონტაქტო ინფორმაცია

| | | |
|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | | უმაღლესი საბჭოს აპარატი |
| პასუხისმგებელი პირები (თანამდებობა) | | ზურაბ ჭურკვეიძე |
| ელფოსტა და სამსახურებრივი ტელეფონი | | ელფოსტა: z.tchurkveidze@gmail.com |
| **სხვა ჩართული აქტორები** | სამინისტროები, დეპარტამენტი/უწყება | |
| | სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციები, სამუშაო ჯგუფები | • გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) საქართველოში<br>• ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)<br>• შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი - აჭარა |

16 IDFI-ს მიერ გამოცხადებული ვებგვერდის ადაპტირების კონკურსის/ტენდერის დეტალები ხელმისაწვდომია აქ: https://idfi.ge/ge/pagel/competitionview/45/

## ვალდებულება 7:

# სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის უმაღლესი საბჭოს შენობის ადაპტირება

ვალდებულების დაწყებისა და დასრულების თარიღი
(ოქტომბერი 2020 - იანვარი 2022)

| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი | | |
|---|---|---|---|
| **ვალდებულების აღწერა** | | | |
| რომელ საზოგადოებრივ პრობლემას ეხება ვალდებულება? | უმაღლესი საბჭოს შენობის ინფრასტრუქტურა არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ადაპტირებულ გარემოს, რის გამოც შშმ პირები თითქმის ვერ ახერხებენ ჩართვას რეგიონის საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში და უმაღლესი საბჭოს შენობით სარგებლობას. საჭიროა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, რათა უმაღლესი საბჭოს შენობა ყველასთვის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი. | | |

| ვალდებულების შესრულების სტატუსი | არ დაწყებულა | შეზღუდულად შესრულდა | არსებითად შესრულდა | სრულად შესრულდა |
|---|---|---|---|---|
| **ვალდებულების ეტაპის/ინდიკატორის შესრულების სტატუსი** | **დაწყების თარიღი:** | **დასრულების თარიღი:** | **ინდიკატორის შესრულების სტატუსი** | |
| ეტაპი 1<br>შენობის ადაპტირების კონცეფციის შემუშავება | 10.2019 | 07.2021 | **სრულად შესრულდა**<br>ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერითა და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დაკვეთით, ა(ა)იპ „მარიანის“ ექსპერტებმა, თომა კაკაბაძემ და ნინო ჩხაიძემ, შეიმუშავეს აჭარის უმაღლესი საბჭოს შენობის მისაწვდომობის კონცეფცია მობილობის, მხედველობისა და სმენის შეზღუდვის მქონე პირთათვის. შემუშავების პროცესი დაეყრდნო ინფორმაციას, რომელიც მიღებულია საბჭოს შენობაში არსებული გარემოსა და მისი მისაწვდომობის დეტალური შეფასებით, ასევე, საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებსა და ექსპერტთა კვლევებს. შესაბამისად, ვალდებულების ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი - კონცეფციის შემუშავება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად - შესრულებულია.[17] | |
| ეტაპი 2<br>ვებგვერდის სპეციალური საჭიროებებისადმი ადაპტაციისთვის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მომზადება | 11.2021 | 01.2022 | **სრულად შესრულდა**<br>კონცეფციის საფუძველზე, აჭარის უმაღლესმა საბჭომ შეისყიდა უმაღლესი საბჭოს შენობის მისაწვდომობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. სამუშაო ვერსია განიხილეს კონცეფციის ავტორებსა და შემუშავების პროცესში ჩართულ მხარეებთან ერთად, რომელთა რეკომენდაციებიც გათვალისწინებულია პროექტის საბოლოო ვერსიაში. ამ ეტაპის შესრულებით, შესრულდა ვალდებულების შემდეგი ინდიკატორები: შეიქმნა შენობის ადაპტირების პროექტი და განისაზღვრა ხარჯთაღრიცხვა, რომელიც მიიღო უმაღლესმა საბჭომ.[18] | |

[17] უმაღლესი საბჭოს შენობის მისაწვდომობის კონცეფცია ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3saMm11

[18] უმაღლესი საბჭოს შენობის მისაწვდომობის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის ტენდერის დეტალები ხელმისაწვდომია აქ: http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=426434&lang=ge

| | | | |
|---|---|---|---|
| ეტაპი 3<br>შენობის პროექტისა და ადაპტაციის სამოქმედო გეგმის დამტკიცება | 12.2021 | 12.2021 | **სრულად შესრულდა**<br>შენობის მისაწვდომობის პროექტსა და მის ხარჯთაღრიცხვაზე დაყრდნობით, უმაღლესმა საბჭომ განსაზღვრა შენობის ადაპტირების ვადა, რომელიც დაამტკიცა თავის რეგლამენტში ასახვით. რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტითა და 157-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომი იქნება 2024 წლის 1 იანვრიდან. [19] |
| ხელშემშლელი გარემოებები | დოკუმენტის შემუშავების პროცესში ექსპერტები ადგილზე გაეცნენ უმაღლესი საბჭოს შენობას და შეისწავლეს საჭიროებები. გარდა ამისა, გაიმართა არაერთი შეხვედრა უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელთა ჩართულობით, შეხვედრებისას გამოკვეთილი საკითხები და რეკომენდაციები კი დოკუმენტში აისახა. მისაწვდომობის კონცეფციის შემუშავების შემდგომ, მომზადდა მისი დიზაინი და ნაბეჭდი გამოცემა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ეტაპის შესრულება რამდენიმე თვით გაჭიანურდა.<br><br>ვინაიდან დოკუმენტის საბოლოო ვერსია რამდენიმე თვის დაგვიანებით მომზადდა, გადაიწია შემდეგი ეტაპის - პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესყიდვის ვადებმაც.<br><br>სამოქმედო გეგმაში ვალდებულების შესრულების რისკებს შორის მოყვანილი იყო შენობის ადაპტირების შესაძლებლობა, თუმცა მისაწვდომობის კონცეფციაში გათვალისწინებული სტანდარტები მორგებულია უმაღლესი საბჭოს შენობაზე, რაც შესაბამისად აისახა მისაწვდომობის პროექტშიც.<br><br>კიდევ ერთი რისკი შეეხება ადაპტირებისთვის საჭირო ფინანსების მოძიებას. თუმცა, რამდენადაც ადაპტირების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2024 წლის 1 იანვარი, მომდევნო წლებში უმაღლესი საბჭო შეძლებს შესაბამისი ფინანსების მოძიებას. | | |
| შედეგების აღწერა | აჭარის უმაღლეს საბჭოს უკვე აქვს შენობის მისაწვდომობის კონცეფცია მობილობის, მხედველობისა და სმენის შეზღუდვის მქონე პირთათვის.<br>შესყიდულია შენობის ადაპტირების პროექტი და ხარჯთაღრიცხვაც, რომელთა საფუძველზეც 2024 წლის 1 იანვრამდე მოხერხდება უმაღლესი საბჭოს შენობის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. | | |
| შემდეგი ნაბიჯები | ვალდებულება სრულად შესრულდა, მაგრამ მუშაობა ამ მიმართულებით გაგრძელდება, რათა სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის შემუშავდეს ახალი სერვისები და გაიზარდოს მათი ჩართულობა აჭარის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში. | | |

## საკონტაქტო ინფორმაცია

| | | |
|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | | უმაღლესი საბჭოს აპარატი |
| პასუხისმგებელი პირები (თანამდებობა) | | ზურაბ ჭურკვეიძე |
| ელფოსტა და სამსახურებრივი ტელეფონი | | ელფოსტა: z.tchurkveidze@gmail.com |
| **სხვა ჩართული აქტორები** | სამინისტროები, დეპარტამენტი/უწყება | უმაღლესი საბჭოს საფინანსო, შესყიდვებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი |
| | სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციები, სამუშაო ჯგუფები | • გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) საქართველოში<br>• ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)<br>• ააიპ „მარიანი“<br>• ააიპ „ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისთვის“<br>• შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი - აჭარა |

[19] უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი ხელმისაწვდომია აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4529420

ვალდებულება 8:

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა სმენის არმქონეებისთვის - ჟესტურ ენაზე ადაპტირება

ვალდებულების დაწყებისა და დასრულების თარიღი

სექტემბერი 2020 - აპრილი 2022

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი | | | |
| ვალდებულების აღწერა | | | | |
| რომელ საზოგადოებრივ პრობლემას ეხება ვალდებულება? | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დღევანდელი საქმიანობა ჯერ კიდევ მიუწვდომელია სმენის პრობლემის მქონე (სმენის არმქონე/სმენადაქვეითებული) პირებისთვის, რომლებიც მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებით იღებენ ინფორმაციას საბჭოს საქმიანობაზე.<br>საჯარო შეხვედრების დროს არ არის გათვალისწინებული მათი საჭიროებები. | | | |
| ვალდებულების შესრულების სტატუსი | **არ დაწყებულა** | **შეზღუდულად შესრულდა** | **არსებითად შესრულდა** | **სრულად შესრულდა** |
| ვალდებულების ეტაპის/ინდიკატორის შესრულების სტატუსი | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | ინდიკატორის შესრულების სტატუსი | |
| ეტაპი 1<br>სურდო თარგმანის უზრუნველყოფისათვის თანამშრომლის/ თანამშრომლების შერჩევა | 09.2020 | 05.2022 | **არსებითად შესრულდა**<br>სურდო თარჯიმნის აყვანა ვალდებულებით გაწერილ ვადაში ვერ მოხერხდა. 2022 წლის დასაწყისიდან უმაღლესმა საბჭომ დაიწყო მისი მოძიება რეგიონში და 2022 წლის მაისის დასაწყისისთვის მოხერხდა შესაბამისი შეთანხმების გაფორმება. | |
| ეტაპი 2<br>ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის (მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ვიდეორგოლები) სურდო თარგმანით ან სუბტიტრებით უზრუნველყოფა. | 03.2021 | მუდმივად | **სრულად შესრულდა**<br>2022 წლიდან უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე www.sca.ge და youtube არხზე ინტერვიუები ქვეყნდება სუბტიტრებით.[20] | |

[20] უმაღლესი საბჭოს YouTube არხი ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/39GEUnV

[21] chaerte.sca.ge-ს საჯარო პრეზენტაციის ვიდეო ხელმისაწვდომია აქ: https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=648044119592129

| | | | |
|---|---|---|---|
| ეტაპი 3<br>შეხვედრების სურდო თარგმანის თანხლებით ჩატარების უზრუნველყოფა (შესაბამისი საჭიროების განსაზღვრის შედეგად) | 01.2021 | მუდმივად | **შეზღუდულად შესრულდა**<br>2022 წლის 6 აპრილს უმაღლესი საბჭოს ახალი პლატფორმის chaerte.sca.ge-ს საჯარო პრეზენტაცია გაიმართა სურდო თარგმანის თანხლებით[21] |
| ხელშემშლელი გარემოებები | ვალდებულების პირველი ეტაპის შესრულება შეაფერხა რეგიონში არსებულმა სურდო თარჯიმანთა დეფიციტმა, ასევე, ფიზიკურ შეხვედრებზე დაწესებულმა შეზღუდვებმა (რის გამოც ნაკლებ აქტუალური იყო სურდო თარჯიმნის მოძიების დაჩქარება). | | |
| შედეგების აღწერა | • 2022 წლიდან უმაღლესი საბჭოს ვებგვერდსა და youtube არხზე ვიდეოები იტვირთება სუბტიტრებით;<br>• ახალი პლატფორმის chaerte.sca.ge-ს საჯარო პრეზენტაცია გაიმართა სურდო თარგმანის თანხლებით. | | |
| შემდეგი ნაბიჯები | გადასახედია ბიუჯეტი, რათა მოხერხდეს სურდო თარჯიმნის ხელშეკრულებით აყვანა უმაღლესი საბჭოს სხდომების, აქტივობებისა და ღონისძიებების სათარგმნად. | | |

## საკონტაქტო ინფორმაცია

| | | |
|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | | მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |
| პასუხისმგებელი პირები (თანამდებობა) | | ფერიდე უსტიაშვილი<br>დეპარტამენტის უფროსი<br><br>სუზანა ვაშაყმაძე -<br>მასმედიასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი<br><br>ცირა ხაჯიშვილი -<br>მოქალაქეთა ჩართულობის განყოფილების უფროსი |
| ელფოსტა და სამსახურებრივი ტელეფონი | | ელფოსტა: ustiashvilif@gmail.com<br>suzi_vashackmadze@sca.ge<br><br>ტელ.: 032 2 28 54 90<br>032 2 28 54 79 |
| **სხვა ჩართული აქტორები** | სამინისტროები, დეპარტამენტი/უწყება | უმაღლესი საბჭოს საფინანსო, შესყიდვებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი |
| | სამოქალაქო საზოგა-დოების ორგანიზაციები, კერძო სექტორი,<br>საერთაშორისო ორ-განიზაციები, სამუშაო ჯგუფები | • გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) საქართველოში<br>• ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) |

## ვალდებულება 9:

# აჭარის უმაღლესი საბჭოს შენობაში შესვლის, სხდომაზე დასწრებისა და საშვის გაცემის ელექტრონული სისტემა

ვალდებულების დაწყებისა და დასრულების თარიღი
(სექტემბერი 2020 - აპრილი 2022)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი | | | |
| **ვალდებულების აღწერა** | | | | |
| რომელ საზოგადოებრივ პრობლემას ეხება ვალდებულება? | უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზები:<br>1. არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, თუ როგორ უნდა ჩაეწეროს მოქალაქე უმაღლესი საბჭოს დეპუტატთან მიღებაზე;<br>2. არ არის მითითებული დეპუტატთან მიღების საათები და განრიგი.<br>3. არ აქვს ფუნქცია, რომელიც მოქალაქეს მისცემს დეპუტატთან შეხვედრაზე ჩაწერის ან მისთვის კითხვის/მოსაზრების გაგზავნის შესაძლებლობას.<br>4. არ იძლევა საშვის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის შესაძლებლობას.<br>5. შენობა არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის, რაც აფერხებს მათთვის საშვის მიცემის პროცედურას.<br>6. მოქალაქეებს არ აქვთ საშვის წინასწარ მიღების საშუალება, რათა თავიდან აიცილონ საშვთა ბიუროში მისვლა შენობაში შემოსვლამდე.<br>7. Covid-19-თან დაკავშირებული უსაფრთხოების სტანდარტები მოითხოვს ფიზიკური კონტაქტების მინიმუმამდე შემცირებას, საშვთა ბიუროში ვიზიტს კი ახლავს დამატებითი კონტაქტები და, შესაბამისად, დამატებითი რისკები ჯანმრთელობის კუთხით. ალტერნატიული მექანიზმი კი მსგავსი სიტუაციებისათვის არ არსებობს. | | | |
| ვალდებულების შესრულების სტატუსი | **არ დაწყებულა** | **შეზღუდულად შესრულდა** | **არსებითად შესრულდა** | **სრულად შესრულდა** |
| ვალდებულების ეტაპის/ინდიკატორის შესრულების სტატუსი | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | ინდიკატორის შესრულების სტატუსი | |
| ეტაპი 1<br>რეგლამენტში პლენარულ სხდომაზე დასწრების წესის შესახებ ცვლილებების პროექტის მომზადება | 09.2020 | 10.2020 | **სრულად შესრულდა**<br>რეგლამენტში შევიდა ცვლილება და განისაზღვრა სხდომებზე დასწრების წესი.[22] | |
| ეტაპი 2<br>შეხვედრის ელექტრონულ ფორმატში ჩანიშვნის წესის შემუშავება და დამტკიცება | 09.2020 | 10.2020 | **სრულად შესრულდა**<br>ამ წესის შემუშავება საჭირო აღარ გახდა, ვინაიდან პლატფორმა chaerte.sca.ge შეიქმნა შეხვედრის ელექტრონულ ფორმატში ჩანიშვნისთვის აუცილებელ პროცედურათა გათვალისწინებით, რომლებიც გაიწერა ვებგვერდის შექმნაზე გამოცხადებულ სატენდერო პირობებში.[23]<br>მოდული - ჩანიშნე შეხვედრა დეპუტატთან.[24] | |

22 2021 წლის აპრილში უმაღლესი საბჭოს წევრების (დავით გაბაიძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი, მარინე გვიანიძე, დავით ბაციკაძე, ირაკლი ჩავლეიშვილი, ტიტე აროშიძე) მიერ ინიცირებულია რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტი (№09-01-08/12, 01.04.2021). 78-ე მუხლის პირველი პუნქტის ცვლილებით ზუსტდება იმ პირთა წრე, რომელთაც აქვთ უმაღლესი საბჭოს ღია პლენარულ სხდომაზე დასწრების უფლება. შესაბამისად, საჯარო პლენარულ სხდომაზე დასწრების უფლება ექნებათ დადგენილი წესით აკრედიტებულ მასმედიისა და საზოგადოების წარმომადგენლებს. უმაღლესმა საბჭომ ცვლილების პროექტი 2021 წლის 20 მაისის სხდომაზე მიიღო გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით (28-IIს, 20.05.2021). რეგლამენტში ინიცირებული ცვლილებები იხ. ბმულზე: https://bit.ly/39w460c

23 IDFI-ს მიერ გამოცხადებული ვებგვერდის შექმნის ტენდერი/კონკურსის დეტალების ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3ye2vGT

24 მოდული - ჩანიშნე შეხვედრა დეპუტატთან ხელმისაწვდომია აქ: https://chaerte.sca.ge/ge/deputy-meetings

| | | | |
|---|---|---|---|
| ეტაპი 3<br>საშვის ელექტრონული გზით გაცემის წესის შემუშავება (კონცეფციის დონეზე) | 09.2020 | 10.2020 | **სრულად შესრულდა**<br>ვინაიდან ახალი ვებპლატფორმის chaerte.sca.ge-ის შექმნის საკონკურსო/სატენდერო პირობებში აღწერილია ელექტრონული საშვის მოთხოვნის პროცედურები, არ გახდა საჭირო დამატებითი წესის შემუშავება.[25]<br>მოდული - მოითხოვე ელექტრონული საშვი.[26] |
| ეტაპი 4<br>საშვის ელექტრონული გზით გაცემის წესის შემუშავება (კონცეფციის დონეზე) | 10.2020 | 12.2020 | **სრულად შესრულდა**<br>რეგლამენტში არ გახდა საჭირო ცვლილებების შეტანა შენობაში შესვლის, სხდომაზე დასწრებისა და საშვის გაცემის ელექტრონული სისტემის პროცედურებში, ვინაიდან chaerte.sca.ge-ის შესაბამისი მოდულები (მოითხოვე კომიტეტის სხდომაზე დასწრება, მოითხოვე პლენარულ სხდომაზე დასწრება, მოითხოვე ელექტრონული საშვი, ჩანიშნე შეხვედრა დეპუტატთან) ითვალისწინებს გარკვეულ წესებსა და პროცედურებს, რითაც პასუხობს ამ ვალდებულების მე-4 ეტაპის ამოცანას.<br>რეგლამენტში განხორციელდა ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი ცვლილებები: კერძოდ, 78-ე მუხლის პირველ პუნქტში დაზუსტდა იმ პირთა წრე, რომლებსაც აქვთ სხდომაზე დასწრების უფლება (28-IIს, 20.05.2021). შენობაში შესვლისა და საშვის გაცემის ელექტრონულ სისტემაზე დამატებითი წესის მიღება არ გახდა საჭირო, ვინაიდან chaerte.sca.ge-ის შესაბამისი მოდულები (მოითხოვე კომიტეტის სხდომაზე დასწრება, მოითხოვე პლენარულ სხდომაზე დასწრება, მოითხოვე ელექტრონული საშვი, ჩანიშნე შეხვედრა დეპუტატთან), ითვალისწინებს გარკვეულ წესებსა და პროცედურებს, რითაც პასუხობს ამ ვალდებულების მე-4 ეტაპის ამოცანას. ამასთან, ზემოაღნიშნული მოდულების კრიტერიუმები განსაზღვრული იყო სატენდერო პირობებშიც.[27] |
| ეტაპი 5<br>საბჭოს ვებგვერდზე ახალი ფუნქციის დამატება - შეხვედრების ჩანიშვნა, საშვის ელექტრონული გზით გაცემის ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა (სმს-ის, აპლიკაციის ან სხვა საშუალებით) | 10.2020 | 12.2020 | **სრულად შესრულდა**<br>ახალი პლატფორმა chaerte.sca.ge სრულად ახალ ფუნქციონალებს მოიცავს.<br>• შეხვედრის ჩანიშვნის ფუნქციით სარგებლობისას, მოთხოვნა მისდის შესაბამის დეპუტატს, თანაშემწესა და მოქალაქეს;<br>• ელექტრონული საშვის მოთხოვნაზე ინფორმაცია ეგზავნება დეპუტატს, მოქალაქესა და საშვის დადასტურებასა ან უარყოფაზე პასუხისმგებელ პირს. |
| ეტაპი 6<br>ელექტრონული შეხვედრისა და საშვის სისტემის, ასევე, აჭარის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე დასწრების წესის შესახებ საბჭოს აპარატის შესაბამისი თანამშრომლებისთვის გაცნობა და, საჭიროების შემთხვევაში, გადამზადება. | 10.2020 | 12.2020 | **სრულად შესრულდა**<br>ინფორმაცია ელექტრონული პლატფორმის chaerte.sca.ge-ის ელექტრონული სერვისების (შეხვედრის ჩანიშვნა დეპუტატთან, ელექტრონული საშვის მოთხოვნა, პლენარულ სხდომაზე დასწრების მოთხოვნა და სხვა) ფუნქციონირებაზე შპს „არტმედიის" შემოქმედებითმა ჯგუფმა დეტალურად გააცნო უმაღლესი საბჭოს შესაბამის თანამშრომლებს.<br>რამდენიმე შეხვედრა გაიმართა როგორც ონლაინპლატფორმის zoom-ის საშუალებით (2022 წლის 17 და 24 იანვარს), ასევე თბილისშიც, კომპანია „არტმედიის" ოფისში (2022 წლის 15 თებერვალს). |

25 ვებგვერდის შექმნის ტენდერი/კონკურსის დეტალების ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3P0qHIL

26 მოდული - მოითხოვე ელექტრონული საშვი ხელმისაწვდომია აქ: https://chaerte.sca.ge/ge/passes/create

27 უმაღლესი საბჭოს Facebook პოსტი რეგლამენტის ცვლილებებზე ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/38606mQ

| | | | |
|---|---|---|---|
| ეტაპი 7<br>აჭარის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე დასწრების წესის შესახებ ინფორმაციის ვებგვერდზე გამოყოფილად განთავსება (ასევე გამარტივებული ვარიანტით) | 12.2020 | 01.2022 | **სრულად შესრულდა**<br>ინფორმაცია ელექტრონული პლატფორმის ვებპლატფორმის chaerte.sca.ge -ის მთავარ პანელზე გამოტანილია ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციონალები, მათ შორის - დაესწარი სხდომას.[28]<br>მენიუში - ონლაინსერვისები - ცალ-ცალკეა გამოყოფილი პლენარულ და საკომიტეტო სხდომაზე დასწრების ფუნქციონალები, რომლებსაც ახლავს ზოგადი ინფორმაცია სერვისით სარგებლობის წესებსა და პროცედურებზე.<br>მოდული - მოითხოვე პლენარულ სხდომაზე დასწრება.[29]<br>მოდული - მოითხოვე კომიტეტის სხდომაზე დასწრება.[30] |
| ეტაპი 8<br>შეხვედრის ჩანიშვნისა და საშვის ელექტრონული გზით გაცემის სისტემის სატესტო რეჟიმში დანერგვა | 12.2020 | 01.2022 | **სრულად შესრულდა**<br>შეხვედრის ჩანიშვნისა და საშვის ელექტრონული გზით გაცემის<br>ფუნქციონალები დანერგილია სატესტო რეჟიმში.<br>მოდული - მოითხოვე ელექტრონული საშვი.[31]<br>მოდული - ჩანიშნე შეხვედრა დეპუტატთან.[32] |
| ეტაპი 9<br>შეხვედრების ჩანიშვნისა და საშვის ელექტრონული გზით გაცემის სისტემის სრული დანერგვა. | 03.2021 | 01.2022 | **სრულად შესრულდა**<br>სისტემა chaerte.sca.ge-ის საშუალებით დაინერგა და სატესტო რეჟიმში მუშაობს შეხვედრების ჩანიშვნისა და საშვის ელექტრონულად გაცემის სისტემები.<br>მოქალაქეები სარგებლობენ შესაბამისი სერვისებით და სისტემა გამართულია.[33] |
| ხელშემშლელი გარემოებები | ვალდებულების ცალკეული ეტაპები განსაზღვრულ ვადებზე გვიან შესრულდა, რაც უკავშირდებოდა ფინანსური სახსრების მოძიებას. | | |
| შედეგების აღწერა | • უმაღლესი საბჭოს ვებპლატფორმას chaerte.sca.ge მთავარ მენიუში დაემატა ცალკე ფუნქცია: მიმართე უმაღლეს საბჭოს[34] და ჩანიშნე შეხვედრა დეპუტატთან.<br>• შეხვედრის ჩანიშვნის ფუნქციით სარგებლობისას, მოთხოვნა მისდის შესაბამისი დეპუტატსა და მოქალაქეს; [35]<br>• დანერგილია საშვის ელექტრონული ფორმატით გაცემის სისტემა;[36]<br>• მოქალაქეები იყენებენ საშვის ელექტრონული მოთხოვნის ფუნქციონალს, თუმცა, ვინაიდან პლატფორმა დაინერგა 2022 წლიდან, მოთხოვნათა რაოდენობა ამ ეტაპისთვის არ არის ბევრი;[37]<br>• რეგლამენტში შევიდა ცვლილება აჭარის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე დასწრების წესთან დაკავშირებით;<br>• აჭარის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე დასწრების წესი მარტივი ფორმით განთავსდა ვებპლატფორმა chaerte.sca.ge-ის მთავარ პანელზე, ასევე, მენიუში ონლაინ სერვისები (მოითხოვე პლენარულ სხდომაზე დასწრება/მოითხოვე კომიტეტის სხდომაზე დასწრება);<br>• აჭარის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე დასწრების წესი მიღებულია და, მოთხოვნის საფუძველზე, მოქალაქეები სხდომას დაესწრებიან წესის შესაბამისად. | | |

28 მოქალაქეთა ჩართულობის ვებ პლატფორმა ხელმისაწვდომია აქ: https://chaerte.sca.ge/

29 მოდული - პლენარულ სხდომაზე დასწრება ხელმისაწვდომია აქ: https://chaerte.sca.ge/ge/sessions-plenary

30 მოდული - კომიტეტის სხდომაზე დასწრება ხელმისაწვდომია აქ: https://chaerte.sca.ge/ge/sessions-committee

31 მოდული - მოითხოვე ელექტრონული საშვი ხელმისაწვდომია აქ: https://chaerte.sca.ge/ge/passes/create

32 მოდული - ჩანიშნე შეხვედრა დეპუტატთან ხელმისაწვდომია აქ: https://chaerte.sca.ge/ge/deputy-meetings

33 პირველი პეტიციის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ye1oXq ; ექსკურსიის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3KGBu15

34 მოდული - მიმართე უმაღლეს საბჭოს ხელმისაწვდომია აქ: https://chaerte.sca.ge/ge/contact-supreme/form

35 მოდული - ჩანიშნე შეხვედრა დეპუტატთან ხელმისაწვდომია აქ: https://chaerte.sca.ge/ge/deputy-meetings

36 მოდული - მოითხოვე ელექტრონული საშვი ხელმისაწვდომია აქ: https://chaerte.sca.ge/ge/passes/create

37 მოდული - მოითხოვე ელექტრონული საშვი: https://chaerte.sca.ge/ge/passes/create

| | |
|---|---|
| შემდეგი ნაბიჯები | • დანერგილი პრაქტიკიდან გამომდინარე, გაგრძელდება ვებფუნქციების გამოყენება და განახლება;<br>• უკუკავშირის პრინციპების გათვალისწინებით, შესაძლოა, სხდომებზე დასწრების წესზე შემუშავდეს ახალი რეკომენდაციები. |

## საკონტაქტო ინფორმაცია

| | | |
|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | | • საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი<br>• იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი<br>• მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი<br>• საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი |
| პასუხისმგებელი პირები (თანამდებობა) | | პაატა კუშელავა -<br>საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი<br>ვაჟა ცეცხლაძე -<br>იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი<br>ფერიდე უსტიაშვილი -<br>მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი<br>სუზანა ვაშაყმაძე -<br>მასმედიასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი<br>ცირა ხაჯიშვილი -<br>მოქალაქეთა ჩართულობის განყოფილების უფროსი |
| ელფოსტა და სამსახურებრივი ტელეფონი | | ელფოსტა: ustiashvilif@gmail.com, suzi_vashackmadze@sca.ge |
| **სხვა ჩართული აქტორები** | სამინისტროები, დეპარტამენტი/უწყება | უმაღლესი საბჭოს საფინანსო, შესყიდვებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი |
| | სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციები, სამუშაო ჯგუფები | • გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) საქართველოში<br>• ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) |

## ვალდებულება 10:

# აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მისი ორგანოების სხდომების ინტერნეტტრანსლაცია და მოქალაქეთა ჩართულობა

ვალდებულების დაწყებისა და დასრულების თარიღი
(სექტემბერი 2020 - თებერვალი 2022)

| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი | | | |
|---|---|---|---|---|
| ვალდებულების აღწერა | | | | |
| რომელ საზოგადოებრივ პრობლემას ეხება ვალდებულება? | აჭარის უმაღლესი საბჭოს პლენარული, საკომიტეტო და ბიუროს სხდომები პირდაპირი სატელევიზიო ეთერით არ გადაიცემა. შესაბამისად, მოქალაქეებს არ აქვთ შესაძლებლობა, თვალყური ადევნონ სხდომების მიმდინარეობას. 2020 წლის მაისიდან უმაღლესმა საბჭომ დაიწყო პლენარული სხდომების ფეისბუქგვერდით ტრანსლაცია პირდაპირი ჩართვებით (ვებგვერდზე ეს ჩართვები ან შესაბამისი არქივი არ არის განთავსებული). აღნიშნული ე.წ ლაივსტრიმები რამდენიმე ასეულმა ადამიანმა იხილა. თუმცა სხვა ტიპის სხდომები არ გადაიცა; გარდა ამისა, საბჭოს რეგლამენტი არ განსაზღვრავდა მსგავსი გადაცემებით მოქალაქეებთან ინტერაქტიული კომუნიკაციის საშუალებას (კომენტარების მიღება, პასუხის გაცემა ან სხვაგვარი დამუშავება და ა.შ.). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზი, ისევე, როგორც ბიუროს სხდომათა ოთახი (სადაც ტარდება ბიუროს სხდომა და, ხშირად, კომიტეტების სხდომებიც) არ იძლევა მოქალაქეთა დიდი ჯგუფების დასწრების საშულებას. | | | |
| ვალდებულების შესრულების სტატუსი | არ დაწყებულა | შეზღუდულად შესრულდა | არსებითად შესრულდა | სრულად შესრულდა |
| ვალდებულების ეტაპის/ ინდიკატორის შესრულების სტატუსი | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | ინდიკატორის შესრულების სტატუსი | |
| ეტაპი 1<br>რეგლამენტში სხდომების ელექტრონული საშუალებებით პირდაპირ ეთერში გადაცემისა და კომიტეტის სხდომაზე მოქალაქეთა მხრიდან კითხვების/შენიშვნების მიღების და რეაგირების ასახვა | 09.2020 | 05.2021 | **სრულად შესრულდა**<br>რეგლამენტში აისახა ცვლილებები, რომლებიც საშუალებას იძლევა, რომ კომიტეტების სხდომებზე მოქალაქეებისგან ონლაინრეჟიმში მიიღონ კითხვები და შენიშვნები და გასცენ შესაბამისი პასუხები. | |
| ეტაპი 2<br>უმაღლესი საბჭოსა და მისი ორგანოების სხდომების ტრანსლაციისათვის ტექნიკური საჭიროებების დადგენა და შესაბამისი ბიუჯეტის განსაზღვრა | 05 2021 | დღემდე | **შეზღუდულად შესრულდა**<br>საბჭოს, ბიუროს, კომიტეტისა და სხვა ორგანოების სხდომები პირდაპირ ეთერში გადაიცემა ინტერნეტის მეშვეობით (სულ მცირე, ფეისბუქის ე.წ. ლაივსტრიმით);<br>(უმაღლესი საბჭოს ფეისბუქგვერდზე ატვირთულია, ფეისბუქლაივით გაშუქებული სხდომები).[38]<br>თუმცა გეგმის მიზანი - მაღალი ხარისხის ტრანსლაცია - ვერ შესრულდა. ამავდროულად, ვერ მოხერხდა საკომიტეტო სხდომების ინტერნეტტრანსლაცია. | |

[38] უმაღლესი საბჭოს Facebook გვერდზე განთავსებული ვიდეოები ხელმისაწვდომია აქ: https://www.facebook.com/supremecouncil.ge/videos

| | | | |
|---|---|---|---|
| ეტაპი 3<br>უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზისა და ბიუროს ოთახის პირდაპირი ინტერნეტტრანს-ლაციისთვის აღჭურვისათვის ტექნიკური დავალების შემუშა-ვება | 05.2021 | 09.2021 | **სრულად შესრულდა**<br>შემუშავდა ტექნიკური დავალება შესაბამისი სივრცეების აუდიო/ვიდეო სისტემებით აღ-ჭურვისათვის.<br>(N1500 გიორგი ბერიძის წერილი უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს) |
| ეტაპი 4<br>ვებგვერდზე ხარისხიანი ტრანსლაციის წარმოებისათვის საბიუჯეტო რესურსის გამოყოფა 2021 წლისთვის და დამატებითი ფინანსების მოზიდვა | 05.2021 | 09.2021 | **სრულად შესრულდა**<br>მოძიებულია ფინანსური სახსრები ტექნიკური აღჭურვილობის შესასყიდად.<br>(აჭარის უმაღლესი საბჭოს N84 გადაწყვეტი-ლება).<br>შემუშავდა ტექნიკური დავალება და გამოიყო ბიუჯეტი 2021 წლის ბოლოს. |
| ეტაპი 5<br>სახელმწიფო შესყიდვის ჩატარება | – | – | **არ დაწყებულა**<br>ტენდერი არ ჩატარებულა, 2022 წლის ბიუჯეტში თანხა არ არის გამოყოფილი. |
| ეტაპი 6<br>ტრანსლაციის სისტემის მოწყობა | 05.2021 | 09.2021 | **არსებითად შესრულდა**<br>უზრუნველყოფილია ლაივსტრიმის ტექნიკუ-რი მხარდაჭერა პლენალური სხდომებისთ-ვის. |
| ეტაპი 7<br>პლენარული სხდომების, ბიუროს სხდომებისა და კომიტეტების სხდომების ინტერნეტის მეშვეობით გადაცემა, კომიტეტის სხდომებზე კითხვა-პასუხის რეჟიმის პრაქტიკის დამკვიდრება და პოპულარიზაცია | 05.2021 | დღემდე | **შეზღუდულად შესრულდა**<br>ლაივსტრიმის რეჟიმში გადაიცემა მხოლოდ პლენარული სხდომები |



| | |
|---|---|
| ხელშემშლელი გარემოებები | აჭარის უმაღლესმა საბჭომ გამოყო საჭირო ბიუჯეტი ლაივსტრიმის შესაძენად. ბიუჯეტი დამტკიცდა, მაგრამ ვერ მოესწრო ტენდერზე გატანა. ვინაიდან 2021 წლის თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდში საბიუჯეტო ცვლილებების განხორციელება შეიზღუდა, დაგვიანდა ბიუჯეტში შესაბამისი თანხების მობილიზება წლის პირველ ნახევარში გაჩენილი დანაზოგების ხარჯზე, დარჩენილი პერიოდი კი საკმარისი არ აღმოჩნდა სატენდერო პროცედურებისთვის.<br>შეიქმნა Chaerte.sca.ge, რომელიც ასევე უზრუნველყოფს მოქალაქეთა ონლაინ-ჩართულობას. |
| შედეგების აღწერა | შეიქმნა chaerte.sca.ge - ახალი ონლაინპლატფორმა, სადაც მოცემულია პლენალური სხდომის ლაივსტრიმის ბმული.[39]<br>შესწავლილია ბაზარი და მზად არის ტექნიკური დავალება. |
| შემდეგი ნაბიჯები | • ვალდებულების შესასრულებლად გამოყოფილი ბიუჯეტისა და რესურსების გადახედვა;<br>• ტენდერის გამოცხადება;<br>• ინტერნეტტრანსლაციისთვის განკუთვნილი ტექნიკის შესყიდვა. |

## საკონტაქტო ინფორმაცია

| | | |
|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | | უმაღლესი საბჭოს აპარატი |
| პასუხისმგებელი პირები (თანამდებობა) | | ზურაბ ჭურკვეიძე |
| ელფოსტა და სამსახურებრივი ტელეფონი | | ელფოსტა: ztchurkveidze@gmail.com<br>ტელ.: 5774720147 |
| **სხვა ჩართული აქტორები** | სამინისტროები, დეპარტამენტი/უწყება | უმაღლესი საბჭოს საფინანსო, შესყიდვებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი |
| | სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, კერძო სექტორი,<br>საერთაშორისო ორგანიზაციები, სამუშაო ჯგუფები | უმაღლესი საბჭოს საფინანსო, შესყიდვებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი |




[39] მოდული - პლენარულ სხდომაზე დასწრება ხელმისაწვდომია აქ: https://chaerte.sca.ge/ge/sessions-plenary

ვალდებულება 11:

# უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის გაზრდა

ვალდებულების დაწყებისა და დასრულების თარიღი
(სექტემბერი 2020 - აპრილი 2022)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი | | | |
| ვალდებულების აღწერა | | | | |
| რომელ საზოგადოებრივ პრობლემას ეხება ვალდებულება? | აჭარის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე ხელმისაწვდომია ბევრი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, მათ შორის, საკანონმდებლო აქტები, მათი პროექტები, ანგარიშები, სხდომის ოქმები და ა.შ. თუმცა ამ დოკუმენტების ნაწილი განთავსებული იყო დასკანერებული ფორმატით, რაც ართულებს (ზოგჯერ კი შეუძლებელსაც ხდის) მათ მოძიებას და შემდგომ დამუშავებას. ასეთ დოკუმენტთა რიცხვშია საკანონმდებლო აქტების პროექტებიც, რომელთა გაცნობა და დამუშავება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვისაც მნიშვნელოვანია (მაგ: ქონების მართვის შესახებ კანონის ცვლილებების პროექტი, გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა და ა.შ.). აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ დოკუმენტებს დასკანერებულ ფორმატში ასევე დიდი მოცულობა აქვთ, რაც აფერხებს ვებგვერდის ფუნქციონირებასაც.<br>ვებგვერდზე დოკუმენტაცია არ თავსდებოდა ღია, ადვილად დასამუშავებელი ფორმატით (მაგ: HTML/MS Word).<br>აჭარის უმაღლესი საბჭო ვებგვერდზე საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისას ხელმძღვანელობს დადგენილებით, რომელშიც განსაზღვრულია გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა, პასუხისმგებელი პირები, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის სტანდარტი და ფორმები და ა.შ. | | | |
| ვალდებულების შესრულების სტატუსი | **არ დაწყებულა** | **შეზღუდულად შესრულდა** | **არსებითად შესრულდა** | **სრულად შესრულდა** |
| ვალდებულების ეტაპის/ინდიკატორის შესრულების სტატუსი | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | ინდიკატორის შესრულების სტატუსი | |
| ეტაპი 1<br>შესაბამისი დადგენილების ცვლილებების განხორციელება | 09.2020 | 12.2021 | **არსებითად შესრულდა**<br>2022 წლის 11 მაისს, ღია მმართველობის საბჭოს წევრთა ავტორობით, დაინიცირდა უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს პროაქტიული ინფორმაციის ნუსხის გაზრდას. პროექტი სულ 60-მდე პუნქტს მოიცავს, მაშინ, როცა მოქმედი სამართლებრივი აქტით, განსაზღვრულია 29 დასახელების ინფორმაციის გამოქვეყნება. ვალდებულება გათვალისწინებულ ვადებში ვერ შესრულდა. ამის ძირითადი მიზეზი იყო პანდემია - პერიოდულად, თანამშრომელთა ყოფნა იზოლაციასა და კოვიდკლინიკებში, რამაც, თავისთავად, ხელი შეუშალა დადგენილების პროექტის საბოლოო ვარიანტის შეთანხმებას. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ეტაპი 2<br>ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის განახლება, ჩაშლა და გაანალიზება და 2016 წლიდან დღემდე დოკუმენტების შერჩევა, რომლებიც უნდა განთავსდეს დამუშავებად (machine-readable) ფორმატში. | 09.2020 | 02.2021 | **სრულად შესრულდა**<br>უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე (sca.ge) 2014 წლიდან ქვეყნდება ინფორმაცია, რომელსაც ითვალისწინებს დადგენილება საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტ-რონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ.[40] ბოლო 8 წლის განმავლობაში გამოქვეყნებუ-ლი მოცულობითი ინფორმაციის ნაწილი, მათ შორის, სა-მართლებრივი აქტების პროექტები, მიღებული კანონები და დადგენილებები, არქივს გადაეცა. ყველა დაარქივე-ბული დოკუმენტის მოძიება და დამუშავებად ფორმატში განთავსება დიდ ადამიანურ რესურსს, დროსა და შესაძ-ლებლობებს მოითხოვს. ამის გათვალისწინებით, შერ-ჩა ინფორმაცია, რომელიც არ მოითხოვდა დამატებით რესურსებს. შერჩეული ინფორმაცია მოიცავს პერიოდს 2014 წლიდან (და არა 2016 წლიდან, როგორც გათვა-ლისწინებული იყო ვალდებულებით) დღემდე. ვებგვერ-დზე განახლდა ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: ფინან-სური სახსრები და მატერიალური საშუალებები (sca-ის ბიუჯეტი, სახელმწიფო შესყიდვები, მივლინებები, თა-ნამდებობრივი სარგოს ოდენობები, სატელეფონო, საწ-ვავისა თუ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკუ-რი მომსახურების ხარჯები და ა.შ.); საკადრო საკითხები (ბრძანებები საშტატო ნუსხის თაობაზე, თანამშრომელთა სახელობითი საშტატო და ა.შ ინფორმაცია); სტატისტიკუ-რი მონაცემები (დოკუმენტბრუნვა, დასაქმებულთა გენდე-რული სტატისტიკა, მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა და ა.შ.). |
| ეტაპი 3<br>განახლებული დადგენილების შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნება | 01.2021 | 05.2021 | **შეზღუდულად შესრულდა**<br>მე-3 ეტაპი დაეყრდნო პირველს - რეგლამენტში განხორ-ციელებულ ცვლილებებს. შესაბამისად, პროაქტიული ინფორმაცია ქვეყნდება 2014 წელს მიღებული დადგე-ნილების შესაბამისად (მიიღო აჭარის ავტონომიური რეს-პუბლიკის უმაღლესმა საბჭომ).[41] |
| ეტაპი 4<br>საბიუჯეტო კალენდრით გათვალისწინებული დოკუმენტების/ ასევე სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების გამარტივებული სახით გამოქვეყნება | 11.2020 | 05.2021 | **არსებითად შესრულდა**<br>ბიუჯეტის პროექტი და, მასთან ერთად, უმაღლესი საბჭოს-თვის წარმოდგენილი დოკუმენტები იტვირთებოდა დაარ-ქივებულ zip ფორმატში.<br>ამჟამად რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი და მასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტი ატვირთულია მარტი-ვად მოსაძიებელი ფორმით (ცალ-ცალკე).[42]<br>ცალკე განთავსდა აჭარის რესპუბლიკის 2022 წლის ბიუ-ჯეტი[43] და მისი დანართი განსახორციელებელი პროგრა-მების შესახებ (2022).[44] |

40 აჭარის უმაღლესი საბჭოს დადგენილება საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/39UBHkF

41 ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებასთან დაკავშირებული დადგენილება და შესული ცვლილებები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულებზე: https://bit.ly/3F9Y7dm; https://bit.ly/3vFIOHp; https://bit.ly/3vFkEf2

42 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/384z7bk

43 ბიუჯეტის პროექტი ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3sdBUpr

44 ბიუჯეტის დოკუმენტები ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3MOY5Kp

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | რეგიონის 2022 წლის ფინანსური დოკუმენტის ინფოგრაფიკის სახით წარმოდგენა ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა, რადგან ამისათვის უნდა გაანალიზდეს:<br>● ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები;<br>● ბიუჯეტის შემოსავლები, გადასახადები, გრანტები და სხვა შემოსავლები;<br>● ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია;<br>● ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები;<br>● ბიუჯეტის საბიუჯეტო ასიგნებები და პროგრამების დაფინანსება.<br>ინფოგრაფიკების ფორმატის მოსამზადებლად ასევე საჭირო იყო შესაბამისი ტექნიკური უნარების მქონე და პროგრამების მცოდნე სპეციალისტის აყვანა ან არსებულ თანამშრომელთა გადამზადება, რაც მოითხოვდა დამატებით ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს. პანდემიის ფონზე აღნიშნული ხარჯის გაღება არარელევანტურად ჩაითვალა და საკმარისად იქნა მიჩნეული ბიუჯეტთან დაკავშირებული დოკუმენტების მარტივად მოსაძიებელი ფორმით ატვირთვა. |
| ხელშემშლელი გარემოებები | მიუხედავად იმისა, რომ დაიწყო მუშაობა პროაქტიული ინფორმაციის გამოქვეყნების დადგენილებაში შესატან ცვლილებებზე და შემუშავდა გასაფართოებელი ინფორმაციის ნუსხის რამდენიმე ვარიანტი, მათი შეჯერება ვერ მოხერხდა. ამას ხელი შეუშალა პანდემიამ, კერძოდ, დისტანციურ რეჟიმში მუშაობის გამო, ვერ შემუშავდა დადგენილებაში შესატანი ცვლილებების საბოლოო ვარიანტი. | | |
| შედეგების აღწერა | ● პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია 2014 წლიდან (შესაბამისი დადგენილების ამოქმედებიდან) განახლდა და თითქმის სრულად განთავსდა დასამუშავებელ ფორმატში (word, excel);<br>● ვებგვერდზე რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი, თანდართული მასალებით, ცალ-ცალკე გამოქვეყნდა და მარტივი მოსაძიებელია;<br>● ცალკე გამოქვეყნდა აჭარის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი და დანართის სახით გამოიყო განსახორციელებელი პროგრამები;<br>● მომზადდა პროაქტიული ინფორმაციის გამოქვეყნების დადგენილებაში შესატანი ცვლილებების პროექტი. | | |
| შემდეგი ნაბიჯები | ● ვალდებულება შეზღუდულად შესრულდა, ამიტომ, სასურველია, გადავიდეს ახალ სამოქმედო გეგმაში;<br>● შესაბამის დადგენილებაში ცვლილებების პროექტის ინიცირებით, გაფართოვდება გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ჩამონათვალი.<br>● გაგრძელდება მუშაობა, რათა შეიქმნას ინფოგრაფიკები ბიუჯეტის შესახებ და საბჭოს ვებგვერდზე განთავსდეს თვალსაჩინო ადგილას. | | |

## საკონტაქტო ინფორმაცია

| | | |
|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | | მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |
| პასუხისმგებელი პირები (თანამდებობა) | | ფერიდე უსტიაშვილი<br>დეპარტამენტის უფროსი<br>სუზანა ვაშაყმაძე - მასმედიასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი |
| ელფოსტა და სამსახურებრივი ტელეფონი | | ელფოსტა: ustiashvilif@gmail.com, suzi_vashackmadze@sca.ge |
| **სხვა ჩართული აქტორები** | სამინისტროები, დეპარტამენტი/უწყება | |
| | სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციები, სამუშაო ჯგუფები | ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) |

ვალდებულება 12:

# აჭარის უმაღლესი საბჭოს, მისი ორგანოებისა და დეპუტატების საჯარო ანგარიშები მოქალაქეებს

ვალდებულების დაწყებისა და დასრულების თარიღი
(სექტემბერი 2020 - აპრილი 2022)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭო, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი. | | | |
| ვალდებულების აღწერა | | | | |
| რომელ საზოგადოებრივ პრობლემას ეხება ვალდებულება? | აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის თანახმად, საქმიანობაზე ანგარიშის წარდგენა მხოლოდ კომიტეტისა და სათათბირო ორგანოების ვალდებულებაა. კანონმდებლობა არ განსაზღვრავს თავად უმაღლესი საბჭოს ან დეპუტატების ვალდებულებას ამ კუთხით; რეგლამენტში ასევე არ არის აღნიშნული შემდეგი მოთხოვნები: ანგარიშის გამოქვეყნება და ელექტრონული ფორმატით ხელმისაწვდომობა (თუ არ ეხება კომიტეტს) და ანგარიშის წარდგენა დეპუტატების მიერ; ამასთანავე, არსებული პროცედურა არ ითვალისწინებს ანგარიშის წარდგენას მოსახლეობისა ან სამოქალაქო საზოგადოებისთვის, რაც აჭარის მთიან რეგიონში განსაკუთრებულად აფერხებს ინფორმაციის სათანადო და დროულ მიწოდებას უმაღლესი საბჭოს შესახებ. | | | |
| ვალდებულების შესრულების სტატუსი | არ დაწყებულა | შეზღუდულად შესრულდა | არსებითად შესრულდა | სრულად შესრულდა |
| ვალდებულების ეტაპის/ ინდიკატორის შესრულების სტატუსი | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | ინდიკატორის შესრულების სტატუსი | |
| ეტაპი 1<br>აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ანგარიშების წარდგენის წესის და პერიოდულობის ასახვა | 09.2020 | 05.2021 | **სრულად შესრულდა**<br>აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შეტანილი ცვლილებით, ანგარიშის ყოველწლიური საჯარო წარდგენა ვალდებულებად განისაზღვრა როგორც უმაღლესი საბჭოსთვის, ისე მისი ყველა დეპუტატისთვის. [45] | |
| ეტაპი 2<br>ანგარიშის სარეკომენდაციო ფორმატისა და საკითხების შემუშავება დეპუტატებისათვის, საბჭოს სხვადასხვა ორგანოსა და საბჭოსთვის (საკითხები, საჭირო ინფორმაცია და ა.შ.) | 02.2022 | 02.2022 | **სრულად შესრულდა**<br>2022 წლის დასაწყისში დეპუტატებისა და საბჭოს სხვადასხვა ორგანოსთვის მომზადდა ანგარიშის შემუშავების სახელმძღვანელო რეკომენდაციები და რამდენიმე დამხმარე შაბლონი. | |
| ეტაპი 3<br>დეპუტატებისა და შესაბამისი თანამშრომლებისთვის სატრენინგო/საორიენტაციო კურსის შემუშავება ანგარიშის მომზადებასა და წარდგენასთან დაკავშირებით.<br>დეპუტატების გადამზადება - თანაშემწეების არსებობის შემთხვევაში, მათი გადამზადებაც (სასურველია პარტნიორების დახმარებით). | 02.2022 | 03.2022 | **სრულად შესრულდა**<br>2022 წლის მარტში დეპუტატებს, მათ თანაშემწეებს, კომიტეტების აპარატის წევრებსა და საბჭოს სხვა თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი ანგარიშების მომზადებაზე დონორი და პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით.<br>გადამზადდა ყველა კომიტეტის აპარატი და დეპუტატთა/თანაშემწეთა 71%. [46] | |

[45] უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ რეგლამენტი ხელმისაწვდომია აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5172592

[46] IDFI-ს მიერ განთავსებული ინფორმაცია ტრენინგების ჩატარების შესახებ ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3vI9UfP

| | | | |
|---|---|---|---|
| ეტაპი 4<br>საჯარო ანგარიშგების შეთანხმებული გრაფიკის ჩამოყალიბება დეპუტატებისა და საბჭოს ორგანოებისათვის | – | – | **არ დაწყებულა**<br>ამ ეტაპზე არ არის დადგენილი დეპუტა-ტების ან საბჭოს ორგანოების ანგარიშების გრაფიკი |
| ეტაპი 5<br>დეპუტატთა ანგარიშები საზოგადოებას (ფიზიკური ან ონლაინშეხვედრის სახით) და ანგარიშების დამუშავებად ფორმატში განთავსება ვებგვერდზე | – | – | **არ დაწყებულა**<br>დეპუტატების ანგარიშები საზოგადოებას არ წარდგენია |
| ეტაპი 6<br>საჯარო ანგარიშგების შეთანხმებული გრაფიკის ჩამოყალიბება დეპუტატებისა და საბჭოს ორგანოებისათვის | 10.2021 | 04.2022 | **შეზღუდულად შესრულდა**<br>კომიტეტთა ანგარიშები დამუშავებად ფორ-მატში გამოქვეყნდა, თუმცა ფიზიკური ან/და ონლაინშეხვედრის ფორმატით არ წარდგე-ნილა. სათათბირო ორგანოებს კი ანგარი-შები ამ ეტაპამდე არ წარუდგენიათ. |
| ხელშემშლელი გარემოებები | ვალდებულებისა და მისი ეტაპების შესრულება გაჭიანურდა, ერთი მხრივ, პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო: კერძოდ, შეფერხდა ფიზიკური ღონისძიებების დაგეგმვა და, შესაბამისად, ვერ მოხერხდა არსებული ანგარიშგების პრაქტიკის ელექტრონულ ფორმატში გადატანა; მეორე მხრივ, გართულდა პოლიტიკური შეთანხმების მიღწევა ანგარიშების წარდგენის ვადებზე. პროცესს ხელი შეუშალა დეპუტატთა და შესაბამის თანამშრომელთა გადამზადების დაგვიანებამაც, რამაც თავისთავად გადაავადა სხვა ეტაპების შესრულება. | | |
| შედეგების აღწერა | აჭარის უმაღლეს საბჭოში უკვე განსაზღვრულია ყველა დეპუტატის, სათათბირო ორგანოსა და თავად საბჭოს ვალდებულება ანგარიშის წარსადგენად. ვებპლატფორმაზე chaerte.sca.ge გამოიყო შესაბამისი გვერდი ყველა ამ ორგანოს ანგარიშის განსათავსებელად. დეპუტატთა უდიდესი ნაწილი, ყველა კომიტეტი და ანგარიშგებაში ჩართული სხვა თანამშრომლები გადამზადდნენ ამ დოკუმენტის შემუშავების საკითხებში და აქვთ შესაბამისი საინფორმაციო-დამხმარე მასალა წლიური ანგარიშის მოსამზადებლად. | | |
| შემდეგი ნაბიჯები | • ანგარიშების მომზადება შესაბამისი პირებისა და ორგანოების მიერ;<br>• ანგარიშების საზოგადოებისთვის წარდგენის ორგანიზება და პრაქტიკის დანერგვა. | | |

## საკონტაქტო ინფორმაცია

| | | |
|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | | უმაღლესი საბჭოს აპარატი |
| პასუხისმგებელი პირები (თანამდებობა) | | ზურაბ ჭურკვეიძე |
| ელფოსტა და სამსახურებრივი ტელეფონი | | ელფოსტა: ztchurkveidze@gmail.com<br>ტელ.: 577 472 147 |
| **სხვა ჩართული აქტორები** | სამინისტროები, დეპარტამენტი/უწყება | |
| | სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზა-ციები, კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციები, სამუშაო ჯგუფები | • გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) საქართველოში<br>• ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)) |

## ვალდებულება 13:

# უმაღლესი საბჭოს კომიტეტთა სამოქმედო გეგმების შემუშავება და გამოქვეყნება

ვალდებულების დაწყებისა და დასრულების თარიღი

(სექტემბერი 2020 - სექტემბერი 2021)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭო | | | |
| ვალდებულების აღწერა | | | | |
| რომელ საზოგადოებრივ პრობლემას ეხება ვალდებულება? | აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი არ ითვალისწინებდა კომიტეტთა ვალდებულებას სამოქმედო გეგმების შესამუშავებლად. აღნიშნული საკითხი პრობლემურად ჩაითვალა უმაღლესი საბჭოს საჭიროებათა კვლევაშიც (ჩატარდა ევროკავშირისა (EU) და UNDP-ის პროგრამის - „საპარლამენტო დემოკრატიის კონსოლიდაცია საქართველოში" - დაკვეთით), რადგან ეს აფერხებდა კომიტეტთა საქმიანობის ეფექტიან დაგეგმვას, შესრულებული სამუშაოს მონიტორინგს, ანგარიშგებასა და შეფასებას.<br>გარდა ამისა, უმაღლესი საბჭოს კომიტეტთა საქმიანობაში ძალზე მცირედ იყო ჩართული სამოქალაქო სექტორი და საზოგადოება, რის გამოც საკანონმდებლო და საზედამხედველო პროცესები არ იყო მონაწილეობითი და ინკლუზიური. | | | |
| ვალდებულების შესრულების სტატუსი | არ დაწყებულა | შეზღუდულად შესრულდა | არსებითად შესრულდა | **სრულად შესრულდა** |
| ვალდებულების ეტაპის/ ინდიკატორის შესრულების სტატუსი | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | ინდიკატორის შესრულების სტატუსი | |
| ეტაპი 1<br>აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში კომიტეტების მიერ სამოქმედო გეგმის შემუშავების გათვალისწინება | 09.2020 | 12.2020 | **სრულად შესრულდა**<br>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში აისახა კომიტეტთა მიერ სამოქმედო გეგმის შემუშავების ვალდებულება[47] | |
| ეტაპი 2<br>კომიტეტთა აპარატის თანამშრომლების გადამზადება სამოქმედო გეგმის შემუშავების სპეციფიკასა და თანამონაწილეობით შემუშავების საკითხებზე | 01.2021 | 03.2021 | **სრულად შესრულდა**<br>2021 წლის მარტში სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და თანამონაწილეობით პროცესებში გადამზადდნენ ექვსივე კომიტეტის აპარატის თანამშრომლები | |
| ეტაპი 3<br>კომიტეტების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის დაწყება და მასში სამოქალაქო სექტორის ჩართვა | 03.2021 | 06.2021 | **სრულად შესრულდა**<br>2021 წლის მარტ-ივნისში ექვსივე კომიტეტში მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრები, კონსულტაციები და სხვა სამუშაოები, რის შედეგადაც მომზადდა 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმები. ამავდროულად, ივნისში ექვსივე კომიტეტმა ჩაატარა ფართო საჯარო კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, სამოქმედო გეგმების სამუშაო ვერსიის განსახილველად და უკუკავშირის მოსაგროვებლად (განხილვებში მონაწილეობდნენ: სამოქალაქო სექტორი, აჭარის მთავრობა, მუნიციპალიტეტები და კერძო სექტორის წარმომადგენლები (სულ 150 პირი)). | |

[47] უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებები ხელმისაწვდომია აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5062984

| | | | |
|---|---|---|---|
| ეტაპი 4<br>უმაღლესი საბჭოს კომიტეტების მიერ სამოქმედო გეგმების დამტკიცება | 06.2021 | 08.2021 | **სრულად შესრულდა**<br>ექვსივე კომიტეტმა დაამტკიცა სამოქმედო გეგმები, რომლებიც დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნდა უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.[48] |
| ხელშემშლელი გარემოებები | ვალდებულებისა და მისი ეტაპების შესრულება დაგვიანდა ძირითადად ფიზიკურ შეკრებათა აკრძალვის გამო, რამდენადაც შეფერხდა ტრენინგები და კონსულტაციები. პროცესზე იმოქმედა პოლიტიკურმა მოვლენებმაც, კერძოდ, ოპოზიციის ბოიკოტის პირობებში შეყოვნდა ცალკეული გადაწყვეტილებების მიღება. | | |
| შედეგების აღწერა | აჭარის უმაღლესი საბჭოს ექვსივე კომიტეტს აქვს სრულფასოვანი სამოქმედო გეგმა 2021-2022 წლებისთვის. ამავდროულად, კომიტეტის თითქმის ყველა თანამშრომელი გადამზადდა სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. მათ მყარი გამოცდილება დაუგროვდათ, რადგან, დონორის მხარდაჭერით, ექვსივე კომიტეტთან იმუშავა კონსულტანტმა და ყველა სამოქმედო გეგმა მომზადდა კომიტეტის აპარატის წევრებისა და კონსულტანტის აქტიური თანამშრომლობით. | | |
| შემდეგი ნაბიჯები | კომიტეტის ახალი სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა და შეფასების ინდიკატორთა შემუშავების პროცესი  დაიხვეწოს დაინტერესებული მხარეებისა და ფართო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. გეგმის პროექტები, საჯარო კონსულტაციების ანგარიში და საბოლოო გეგმები პროაქტიულად გამოქვეყნდეს კომუნიკაციის მრავალფეროვანი არხებით. | | |

## საკონტაქტო ინფორმაცია

| | | |
|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | | უმაღლესი საბჭოს აპარატი |
| პასუხისმგებელი პირები (თანამდებობა) | | ზურაბ ჭურკვეიძე |
| ელფოსტა და სამსახურებრივი ტელეფონი | | ელფოსტა: ztchurkveidze@gmail.com<br>ტელ.: 577 472 147 |
| **სხვა ჩართული აქტორები** | სამინისტროები, დეპარტამენტი/უწყება | |
| | სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციები, სამუშაო ჯგუფები | გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) საქართველოში |



48 უმაღლესი საბჭოს სტრატეგიები, სამოქმედო გეგმები, კონცეფციები ხელმისაწვდომია აქ: http://sca.ge/geo/static/275

## ვალდებულება 14:
# ღია კარის დღე

ვალდებულების დაწყებისა და დასრულების თარიღი
(სექტემბერი 2020 - მარტი 2021)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭო | | | |
| ვალდებულების აღწერა | | | | |
| რომელ საზოგადოებრივ პრობლემას ეხება ვალდებულება? | აჭარის უმაღლესი საბჭოს ბათუმის ცენტრალურ უბანში გადმოსვლასთან ერთად, გაჩნდა მოლოდინი, რომ მოსახლეობა<br>უფრო აქტიურად ჩაერთვება საბჭოს აქტივობებში. თუმცა რეგიონის საკანონმდებ-ლო ორგანოსადმი ინტერესი საკმარისად მაღალი არ არის. გარდა ამისა, სხდო-მებზე მოქალაქეთა დასწრება შეზღუდულია, როგორც სხდომათა დარბაზის ზომის, ასევე პრაქტიკის არარსებობის გამო. | | | |
| ვალდებულების შესრულების სტატუსი | **არ დაწყებულა** | **შეზღუდულად შესრულდა** | **არსებითად შესრულდა** | **სრულად შესრულდა** |
| ვალდებულების ეტაპის/ ინდიკატორის შესრულების სტატუსი | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | ინდიკატორის შესრულების სტატუსი | |
| ეტაპი 1<br>ღია კარის დღის საკითხის მარეგულირებელი წესის შემუშავება და დამტკიცება | – | – | **არ დაწყებულა** | |
| ეტაპი 2<br>ღია კარის დღის პრაქტიკის დანერგვისათვის შესაბამისი სახელმძღვანელო ინსტრუქციების მომზადება და თანამშრომლების გადამზადება | – | – | **არ დაწყებულა** | |
| ეტაპი 3<br>პირველი ღია კარის დღის ჩანიშვნა | – | – | **არ დაწყებულა** | |
| ეტაპი 4<br>ღია კარის დღის ოქმისა და ანგარიშის მომზადება და გამოქვეყნება, შესაბამისი რეაგირების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება | – | – | **არ დაწყებულა** | |

| | |
|---|---|
| ხელშემშლელი გარემოებები | ვალდებულებისა და მისი ეტაპების შესრულება ვერ მოხერხდა პანდემიის გამო, რადგან შეზღუდული იყო ფიზიკური შეხვედრები. ვინაიდან ღია კარის დღე დიდწილად გასვლით ღონისძიებებზე იყო ორიენტირებული, მსგავსი შეხვედრების დისტანციურად ჩატარების წესები და პროცედურები არ გახლდათ შემუშავებული და არც შესაბამისი ტექნიკური რესურსები არსებობდა. შესაბამისად, ეს ღონისძიება დისტანციურ რეჟიმში ვერ ჩატარდა. |
| შედეგების აღწერა | შედეგი არ დამდგარა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. |
| შემდეგი ნაბიჯები | პანდემიიდან გამომდინარე, გამოიკვეთა, რომ გასამრავალფეროვნებელია ღია კარის დღის მეთოდი, რაც მოიცავს ამ აქტივობის დისტანციურად ჩატარების შესაძლებლობასაც. შესაბამისად, უნდა გაიწეროს სათანადო წესები და პროცედურებიც. |




## საკონტაქტო ინფორმაცია

| | | |
|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | | უმაღლესი საბჭო |
| პასუხისმგებელი პირები (თანამდებობა) | | ზურაბ ჭურკვეიძე |
| ელფოსტა და სამსახურებრივი ტელეფონი | | ელფოსტა: ztchurkveidze@gmail.com<br>ტელ.: 577 472 147 |
| **სხვა ჩართული აქტორები** | სამინისტროები, დეპარტამენტი/უწყება | |
| | სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზა-ციები, კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციები, სამუშაო ჯგუფები | |

48 უმაღლესი საბჭოს სტრატეგიები, სამოქმედო გეგმები, კონცეფციები ხელმისაწვდომია აქ: http://sca.ge/geo/static/275

ვალდებულება 15:

# ღია კარის დღე

ვალდებულების დაწყებისა და დასრულების თარიღი
(დეკემბერი 2020 - ნოემბერი 2021)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო | | | |
| ვალდებულების აღწერა | | | | |
| რომელ საზოგადოებრივ პრობლემას ეხება ვალდებულება? | აჭარის უმაღლეს საბჭოს არ აქვს სამოქალაქო სექტორთან აქტიური თანამშრომლობის გამოცდილება და ტრადიცია. არ ტარდება რეგულარული შეხვედრები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა მხარეთა შორის დიალოგი, იდეათა გაცვლა, პარტნიორობის განხილვა და, ამავდროულად, საბჭოს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა. | | | |
| ვალდებულების შესრულების სტატუსი | **არ დაწყებულა** | **შეზღუდულად შესრულდა** | **არსებითად შესრულდა** | **სრულად შესრულდა** |
| ვალდებულების ეტაპის/ ინდიკატორის შესრულების სტატუსი | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | ინდიკატორის შესრულების სტატუსი | |
| ეტაპი 1<br>უმაღლეს საბჭოსა და სამოქალაქო სექტორს შორის დეკლარაციის გაფორმება | – | – | **არ დაწყებულა** | |
| ეტაპი 2<br>უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს მიერ პირველი შეხვედრის ორგანიზება | – | – | **არ დაწყებულა** | |
| ეტაპი 3<br>შეხვედრის ანგარიშის მომზადება და ვებგვერდზე გამოქვეყნება | – | – | **არ დაწყებულა** | |
| ხელშემშლელი გარემოებები | • ვალდებულებისა და მისი ეტაპების შესრულება ვერ მოხერხდა პანდემიის, პოლიტიკური ბოიკოტისა და შეზღუდული ფიზიკური შეხვედრების გამო;<br>• ვერ მოხერხდა კონკრეტულ თარიღზე შეთანხმება. | | | |
| შედეგების აღწერა | შედეგი ვერ დადგა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. | | | |
| შემდეგი ნაბიჯები | დაიგეგმოს სამოქალაქო სექტორთან რეგულარული შეხვედრების ფორმატი და შემუშავდეს შესაბამისი წესები და პროცედურები. | | | |

| საკონტაქტო ინფორმაცია | | |
|---|---|---|
| წამყვანი პასუხისმგებელი ერთეული | | უმაღლესი საბჭო |
| პასუხისმგებელი პირები (თანამდებობა) | | ზურაბ ჭურკვეიძე |
| ელფოსტა და სამსახურებრივი ტელეფონი | | ელფოსტა: ztchurkveidze@gmail.com<br>ტელ.: 577 472 147 |
| **სხვა ჩართული აქტორები** | სამინისტროები, დეპარტამენტი/უწყება | |
| | სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციები, სამუშაო ჯგუფები | |


2021

# საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობა და გამოცდილების გაზიარება

აღსანიშნავია, რომ აჭარა არ არის ღია მმართველობის პარტნიორობის ადგილობრივი ქსელის, OGP Local-ის წევრი. მიუხედავად ამისა, უმაღლესი საბჭოს მიღწევებმა ღია მმართველობის კუთხით (მაგ: სამოქმედო გეგმის თანაშემოქმედებითი პროცესით მიღება, ინსტიტუციური ეფექტიანობის გაძლიერება და ამბიციური ვალდებულებების აღება გამჭვირვალობისა თუ მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად) სხვა ქვეყნების ინტერესი გამოიწვია. OGP-ის მხარდაჭერის განყოფილების მოთხოვნით, 2021 წლის 10 ივნისს შედგა ონლაინშეხვედრა, რომლის მხარეებიც იყვნენ: OGP-ის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის კოორდინატორი, მარინა მხითარიანი; უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დავით გაბაიძე; და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ზურაბ ჭურკვეიძე. დავით გაბაიძემ წარმოადგინა ინფორმაცია ღია მმართველობის პრინციპთა დანერგვაზე საბჭოს საქმიანობაში, მონაწილეებს გააცნო ღიაობის სამოქმედო გეგმის ვალდებულებები და ძირითადი მიმართულებები და გამოთქვა მზადყოფნა, ჩართულიყო OGP-ის ადგილობრივ პროგრამაში (OGP Local). მხარეებმა განიხილეს აჭარის სამომავლო გეგმები OGP Local-ის ოფიციალურ წევრობასთან მიმართებით, ხოლო ქალბატონი მხითარიანი ბ-ნ გაბაიძეს დახმარებას დაჰპირდა ისეთ საკითხებში, როგორიცაა: საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება და OGP-ის პრინციპების დანერგვა აჭარის რეგიონში; ასევე, საკუთარი პრაქტიკის წარმოჩენა რეგიონული საკანონმდებლო ორგანოს საერთაშორისო პარტნიორებთან.





# დასკვნა, სხვა ინიციატივები და შემდეგი ნაბიჯები

აჭარის უმაღლესმა საბჭომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ღია მმართველობის დასანერგად: ორი წლის განმავლობაში განხორციელებულ ამ ცვლილებებს რეალური სარგებლის მოტანა შეუძლია მოქალაქეებისთვის.

უმაღლესი საბჭოს გახსნილობა ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას არსებითი წინაპირობა იყო ინკლუზიური და ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული გეგმის მოსამზადებლად. პანდემიით განპირობებული გამოწვევების მიუხედავად, უმაღლესმა საბჭომ შეძლო აქტიური თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორთან და ღია მმართველობის პრინციპების შესაბამისი თანაშემოქმედებითი პროცესის დანერგვა. შედეგად, სამოქმედო გეგმაში აისახა სწორედ სამოქალაქო სექტორის მიერ ინიცირებული არაერთი ვალდებულება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების დროსაც აქტიურად გრძელდებოდა მრავალმხრივი თანამშრომლობა: არაერთი ვალდებულება და აქტივობა განხორციელდა უმაღლესი საბჭოსა და მისი პარტნიორების ერთობლივი ძალისხმევით; დაინერგა სიახლეები და შესრულდა სამუშაოები (მათ შორის, ინფრასტრუქტურული). შედეგად, უმაღლესი საბჭო დღეს უფრო ღია ინსტიტუტია, ვიდრე ადრე.

სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში გაცხადდა არაერთი გამოწვევაც. პანდემიის ხანგრძლივად გაგრძელებამ უარყოფითად იმოქმედა სხვადასხვა პროცესზე. ამას დაემატა არჩევნების შემდგომი პოლიტიკური მდგომარეობა, რის გამოც ცალკეულ აქტივობათა შესრულება ვერ ხერხდებოდა (ვერ იმართებოდა სათანადო წარმომადგენლობითი შეხვედრები, შეყოვნდა პარტნიორთა მზაობა პროცესში ჩასართავად, საჭირო გახდა ლოდინი პოლიტიკური მრავალფეროვნების მიღწევამდე და ა.შ.). უმაღლესი საბჭოსთვის ამბიციური გეგმის შესრულება გამოწვევად იქცა, რომლის გადალახვაც მოახერხა პარტნიორი და დონორი ორგანიზაციების ჩართულობით (თუმცა გეგმით გათვალისწინებული ვადა საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა).

ინსტიტუციური ღიაობის დანერგვის პროცესში უმაღლესმა საბჭომ შეძლო სხვადასხვა მიმართულებით მობილიზება და ცალკეული ინიციატივების განხორციელება სამოქმედო გეგმის მიღმა. მაგალითად, დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, გაიზარდა ჩართულობა გენდერული თანასწორობის პროცესებში; განხორციელდა აქტივობები ინსტიტუციური გაძლიერებისათვის (რაც ასევე მოიაზრებს საზოგადოების მეტ მონაწილეობას საზედამხედველო მექანიზმებში); შემუშავდა უმაღლესი საბჭოს ინსტიტუციური და საკომუნიკაციო სტრატეგიები 2021-2024 წლებისთვის, თანმდევი სამოქმედო გეგმებით. ეს დოკუმენტები არაერთ საკითხს ითვალისწინებს ინსტიტუციური ღიაობის თვალსაზრისით. მათ საფუძველზე გამოიყო სტრუქტურული ერთეულიც, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფუნქციით, რომლის ყურადღების ცენტრში მოექცა ღია მმართველობის საკითხებიც. ასეთი მიდგომით, საბჭომ ხაზი გაუსვა, რომ ღია მმართველობა ყოველთვის პრიორიტეტული იქნება და მასზე მუშაობა გაგრძელდება მდგრადი მიდგომებით.

უმაღლესი საბჭო მუშაობს ცნობიერების გაზრდასა და საჯარო კომუნიკაციების გაძლიერებაზეც და აქტიურად თანამშრომლობს მედიასაშუალებებთან სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის პრიორიტეტულია ღიაობის თემები: აქტიური საუბრები პეტიციაზე, მოქალაქეთა ჩართულობის პლატფორმასა თუ სხვა საკითხებზე (როგორც მედიაში, ისე საჯარო შეხვედრებზე) ხაზს უსვამს ამ თემების მნიშვნელობას და იქმნება შესაძლებლობა, რომ საზოგადოება დაინტერესდეს დანერგილი მექანიზმების გამოყენებით.

ამჟამად უმაღლესი საბჭო იწყებს ახალ სამოქმედო გეგმაზე მუშაობას, რისთვისაც აქტიურად მიმდინარეობს შიდა და გარე პროცესები - ტარდება შეხვედრები თანამშრომლებთან, სტუდენტებსა და სამოქალაქო სექტორთან. შედეგად, საზოგადოების მონაწილეობით, ღია მმართველობის კიდევ ერთი სამოქმედო გეგმა 2022 წლის ივლისამდე დამტკიცდება. ახალი დოკუმენტი კვლავაც დაისახავს მიზნად უმაღლესი საბჭოს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, ჩართულობისა და ინოვაციური განვითარების სტანდარტთა ამაღლებას. გეგმაში გათვალისწინებული იქნება მიღებული გამოცდილება და გამოწვევებიც.

უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის რეფორმით შესაძლებელი გახდა ტექნოლოგიური სიახლეებისა და შიდა სისტემური ცვლილებების დანერგვა. პროცესში ცხადად გამოჩნდა სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის სარგებელი - არა მხოლოდ ამბიციური სამოქმედო გეგმის შემუშავება, არამედ მისი შესრულება პარტნიორული მიდგომებით. შედეგად, უმაღლესი საბჭოს გამოცდილება საინტერესო გახდა საერთაშორისო პარტნიორებისა და თავად OGP-თვისაც. უმაღლესი საბჭოს მხრიდან განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებით, შესაძლებელი გახდება ღია მმართველობის სისტემურად დანერგვა და კიდევ უფრო გაძლიერება მომავალში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Automous Republic of Ajara





აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Automous Republic of Ajara

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თვითშეფასების ანგარიში ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის შესრულებაზე



პუბლიკაცია მომზადებულია აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მხარდაჭერით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია აჭარის უმაღლესი საბჭო და იგი, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის ან ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მოსაზრებებს.